CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

„ალია“ და „ქრონიკა“ უერთდება მოთხოვნას!




N186/3116/ 18 დეკემბერი 2014 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

## როგორ მოიქცევიან ერთ დარბაზში სააკაშვილი და მარგველაშვილი?



## თავდაცვის სამინისტრომ გიორგი ანწუხელიძის სახლის მშენებლობა შეაჩერა?



რა პასუხობს თავდაცვა „ალიას“

## 26 დეკემბერს ძებნილი სააკაშვილი ძებნილ კოდუასთან უნგრეთში ჩადის

რას დაგეგმავენ ნაციონალები?



## რა აქვს სასჯელაღსრულებას სასწრაფოდ გამოსასწორებელი?



## პროფესორი ზურაბ გაგნიძე: „...გიგი თევზაძე გაქცეულია, მან დატოვა საქართველოს ტერიტორია“



## რა დოკუმენტებს სთხოვს „საია“ პროკურატურას?



## გოგა ხაჩიძე მოსახლეობისთვის უპროცენტო თანხების გაცემას მოითხოვს



სერგო ჯავახიძე: „მე ასეთი დებილობა ჯერ არ წამიკითხავს და ძალიან მიკვირს, პარლამენტმა მსჯელობა როგორ მისცა“

## „ოცნებას“ გლეხებისთვის ოცნება აუსრულებია



## პრემიერ-მინისტრი პაკისტანელ ხალხს უსამძიმრებს



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პაკისტანელ კოლეგას ქალაქ პეშავარში განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით სამძიმრის წერილი გაუგზავნა.

„უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამთ 2014 წლის 16 დეკემბერს პაკისტანის ქალაქ პეშავარში სამხედრო საჯარო სკოლაში განხორციელებული შემზარავი ტერორისტული აქტის გამო, რომელსაც უდანაშაულო ადამიანების, მათ შორის 132 ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ მძიმე წუთებში, ჩვენ პაკისტანელი ხალხის გვერდით ვდგავართ და ვიზიარებთ დაღუპულთა ოჯახების ტკივილსა და დიდ მწუხარებას“, – ნათქვამია სამძიმრის წერილში. (ნიუპოსტი)

## „სააკაშვილის სტრასბურგში სტუმრობა სიურპრიზი არ ყოფილა“



საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ევროპარლამენტში მიხეილ სააკაშვილის სტუმრობას ეხმაურება.

„მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლა ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, „ევროპის სახალხო პარტიას“ აქვს თავისი მოსაზრება. თუმცა ამ პარტიაში არ არიან მხოლოდ ის ადამიანები, მაგალითად, ბატონი ვოლსკი, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. ამიტომ იქნება განსხვავებული მოსაზრებები, ჩვენ ამის არ გვეშინია“, – განაცხადა ჯაფარიძემ. (ნიუპოსტი)

## ქვემო ქართლში მდებარე 23 მეჩეთი მუსლიმანთა სამმართველოს გადაეცა



ქვემო ქართლში მდებარე 23 მეჩეთი სრულიად მუსლიმანთა სამმართველოს მფლობელობაში გადადის. აღნიშნული გადაწყვეტილება რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელმა კომისიამ მიიღო.

„მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული მეჩეთები საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს მფლობელობაში გადავიდეს. მოხდა 23 მეჩეთის გადაცემა, პირველ სხდომაზე კი – 21 მეჩეთის. საბოლოო ჯამში, ორივე კომისიის სხდომაზე გაიცა რეკომენდაცია, რომ სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს გადაეცეს 44 მეჩეთი“, – განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ. (ნიუპოსტი)

## „პრობლემების გადაწყვეტის კუთხით შთამბეჭდავი და დინამიკური წელი იყო“



დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა სამინისტროს ორი წლის მუშაობის ანგარიში წარადგინა. სუბარის თქმით, დევნილთა პრობლემების გადაწყვეტის კუთხით, ძალიან შთამბეჭდავი და დინამიკური ორი წელი იყო. ბოლო ორი წლის განმავლობაში ხუთი ათასზე მეტ დევნილს ბინები საკუთრებაში გადაეცა.

სუბარი თანამშრომლების დაკავების საკითხსაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეს პირები თვითონვე დაითხოვა, შიდა აუდიტის დასკვნების საფუძველზე, რადგან უხარისხო მშენებლობის ჩაბარებაზე მოაწერეს ხელი.

„არც ერთი ობიექტი, რომელიც სტანდარტს არ შეესაბამება, არ იქნება ჩაბარებული, სულ რომ ამის გამო ბიუჯეტი ჩავარდეს და შესრულება არ მოხდეს. რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულებას, ამ წუთისთვის, საკასო შესრულება, ანუ უკვე გადარიცხულია ბიუჯეტის 85%, აღებული ვალდებულებებია 90%-იანი შესრულება, ხოლო კვირის ბოლომდე ჩვენ გვაქვს გარანტია, რომ შესრულება მიუახლოვდება 100%-ს“, – განაცხადა სუბარმა. (ნიუპოსტი)

## სოხუმში რუსული ბიზნესი იხურება



მარტო 17 დეკემბერს, საღამოს 20:00 საათზე სოხუმის ცენტრში აქციის ფონზე დაიხურა 11-მდე უცხოური ბრენდის მაღაზია, რომელიც რუს ბიზნესმენებს უკვე ოთხი წელია აქვთ გახსნილი. გარდა მაღაზიებისა, რუს ოლიგარქებს ტურისტული კომპანიები და ქართველების საცხოვრებელ სახლებში სასტუმროები ჰქონდათ გახსნილი იქ ჩასული სტუმრების მომსახურებისთვის.

რუსული რუბლის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რუსი ბიზნესმენები იძულებული გახდნენ, 11-ვე მაღაზია დაეხურათ. მაღაზიებზე აბრებიც კი არის გაკრული შემდეგი შინაარსით, რომ ისინი დაიხურა რუსეთში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო. აქციაზე მისული რუსეთის მოქალაქეები აცხადებდნენ, რომ წელს არც ციტრუსის გატანას აქვს აზრი და ფსოუზეც იკლო პროდუქტების რაოდენობამ. ისინი აფხაზეთში ყიდულობენ პროდუქტს და რუსეთში აგზავნიან, რადგან იქ პროდუქტი საგრძნობლად გაძვირდა. (ნიუპოსტი)



## სად უმასპინძლებს თოვლის ბაბუა ბავშვებს ახალ წელს?



თოვლის ბაბუა წელს ბავშვებს ბოტანიკური ბაღის სვანურ კოშკში უმასპინძლებს.

25 დეკემბერს სვანეთიდან ჩამოსული თოვლის პაპა ქალაქის მთავარ ნაძვის ხეს აანთებს და ამის შემდეგ მარხილით ბოტანიკურ ბაღში გადაინაცვლებს.

საახალწლო მზადება, ბაღის დირექტორთან ერთად, დედაქალაქის ვიცე-მერმა დაათვალიერა.

„თოვლის ბაბუა საჩუქრებითა და სიურპრიზებით უმასპინძლებს ბავშვებს და უკვე წინასაახალწლო განწყობას შეუქმნის. 28-ში ბოტანიკური ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს უმასპინძლებს“, – განაცხადა დედაქალაქის ვიცე-მერმა ნინა ხატისკაცმა. (ნიუპოსტი)

## „რეზოლუცია იქნება საკმაოდ მძაფრი“



„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივანი ალექსი პეტრიაშვილი მიიჩნევს, რომ ევროპარლამენტის მიერ საქართველოზე მომზადებული რეზოლუცია საკმაოდ მძაფრი იქნება. ყოფილი მინისტრი ვარაუდობს, რომ კრიტიკის თვალსაზრისით ყურადღება გამახვილდება მართლმსაჯულების ხარვეზებზე და ყოფილი მაღალჩინოსნების სამართლებრივ საკითხებზე.

„რეზოლუცია იქნება საკმაოდ მძაფრი. ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც აქვს ხელისუფლებას, ეს არის პროკურატურის დროულად რეფორმირება. პროკურატურა და მისი საქმიანობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომ იქ ძირეული ცვლილებებია განსახორციელებელი. პროკურატურამ ვერ მოახერხა, რომ ეს საქმეები ბოლომდე მიეყვანა დროულად და სათანადო ინფორმაციით აღეჭურვა საქართველოს დიპლომატიური კორპუსი“, – განაცხადა პეტრიაშვილმა. (ნიუპოსტი)

## არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები საყდრისში გაემგზავრებიან



საყდრისის გადარჩენის კომიტეტის ორგანიზებით, არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები საყდრისში გაემგზავრებიან. არქეოლოგები დაათვალიერებენ ობიექტს, რომელზეც სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.

ეროვნული მუზეუმის არქეოლოგები კიდევ ერთხელ გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ საყდრისი-ყაჩაღიანი შეისწავლონ. (ინტერპრესნიუსი)

## ქვემო ქართლის გუბერნატორად პაატა ხიზანიშვილი ინიშნება



საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი პაატა ხიზანიშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული, წალკა და ქ. რუსთავი) სახელმწიფო რწმუნებულად – გუბერნატორად დანიშვნის შესახებ მთავრობის სხდომის დღის წესრიგშია შესული.

პაატა ხიზანიშვილი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „ქართული ოცნებიდან“ დმანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო. მანამდე კი ის „ქართუ ბანკში“ მუშაობდა.

ქვემო ქართლის გუბერნატორის თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც გიორგი მღებრიშვილი სასჯელაღსრულების მინისტრად დაინიშნა. (ინტერპრესნიუსი)

## ტელეკომპანია „TV 3“-დან ყველა თანამშრომელი გაათავისუფლეს




ტელეკომპანია „TV 3“ რეორგანიზაციას იწყებს, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლები სამსახურიდან დაითხოვეს.

ტელევიზიის მფლობელისა და გენერალური დირექტორის, ლალი ეგაძის განცხადებით, 1-ლი იანვრიდან ტელეკომპანია ეთერში ახალი ფორმატით გავა. ამასთანავე, „TV 3“-ზე ახალი ინვესტორიც გამოჩნდა. ახალი გუნდის დაკომპლექტებამდე კი ეთერში უცხოეთის ახალი ამბები, დოკუმენტური ფილმები, შემეცნებით-გასართობი და ახალგაზრდული გადაცემები გავა. (რეპორტიორი)

## „ქადაგიძე და მთელი მთავრობა ერთად რომ გამოეკიდონ ლარს, მაინც ვერაფრით გააჩერებენ“

ლარის კურსის ექვსი პუნქტით ვარდნას, ექსპერტი დემურ გიორხელიძე გამოეხმაურა:

„აუცილებლად დაეცემა ნელ-ნელა, ვერაფერი გააჩერებს. ლარი არის გადაფასებული, ფულის მიწოდება არის ხელოვნურად შეზღუდული. ეს იძლეოდა შესაძლებლობას ლარის კურსის მაღალ ნიშნულზე გაჩერების. ბატონი ქადაგიძე და მთელი მთავრობა ერთად რომ გამოეკიდნონ ლარს, მაინც ვერაფრით გააჩერებენ. ხელოვნურად იყო დაკავებული ახლაც და ლარის კურსი უკვე წლებია, ხელოვნურად არის დაკავებული. ადამიანები არ შრომობენ, საქართველოში არაფერი იწარმოება, ეკონომიკური აქტივობა დაბალია, ფული ხელმიუწვდომელია, გარემო არ არის ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი, იმიტომ გაჩნდა პრობლემები“, – ამბობს გიორხელიძე.

მისი განცხადებით, ეროვნული ბანკისა და მთავრობის პოლიტიკა ერთმანეთთან კოორდინირებული უკვე ორი წელია, არ არის.

„მონეტარული პოლიტიკა არ არის დაქვემდებარებული ეკონომიკის ზრდასა და დასაქმებაზე. ეროვნული ბანკი თავის სიმღერას მღერის, მთავრობა სუსტ პოლიტიკას ატარებს, ჯამში მივიღეთ შედეგი. ამას ვერაფერი გააჩერებს“, – ამბობს გიორხელიძე. (news.ge)



# თავდაცვის სამინისტრომ გიორგი ანწუხელიძის სახლის მშენებლობა შეაჩერა?

## რა პასუხობს თავდაცვა „ალიას“

გიორგი ანწუხელიძის დედის, ლილი ანწუხელიძის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, თავდაცვის სამინისტრომ შეწყვიტა ეროვნული გმირის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში წამებით მოკლული 23 წლის გიორგი ანწუხელიძის ოჯახის წევრებისთვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

„საბუთებზე სირბილში ჩემს რძალს გული გზაში გაუსკდა. რომ დაიღუპა, სახლის მშენებლობა შეწყვიტეს და თავდაცვის სამინისტროში მიზეზიც არ გვითხრეს“, – უთხრა „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ გიორგი ანწუხელიძის მამიდამ, ეთერ ანწუხელიძემ.

**ვითარების გასარკვევად, „ალია“ თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ეკა ქარდავას დაუკავშირდა:**

**— ეკა, ნათესავები ამბობენ, რომ გიორგი ანწუხელიძის სახლის მშენებლობა შეჩერდა.**

– გიორგის დედის გარდაცვალების დროისთვის მხოლოდ სახლის საძირკველი არსებობდა, დანარჩენი სამშენებლო სამუშაოები კი მას შემდეგ შესრულდა. ამ დროისთვის ერთსართულიანი სახლის კედლებია აშენებული. შესაძლებელია, კონკრეტულად ბოლო დღეებში არ უმუშავიათ ხელოსნებს, მაგრამ ამის მიზეზს ვერ გეტყვი. მოგეხსენებათ, გიორგის დედის, ქალბატონი ლილის დაკრძალვის ხარჯიც სამინისტრომ დაფარა – 46 000 ლარი. ეს თანხა არის მხოლოდ ამ წელს გაცემული, ამის გარდაც, სხვა წლებშიც ხელისუფლება სულ ეხმარებოდა ამ ოჯახს და ერთი სახლი დაუსრულა უკვე, ახლა საუბარია მეორე სახლის მშენებლობაზე. ამ სახლის მშენებლობის დასრულება იგეგმება სამინისტროში.

**— რომ ამბობთ, შესაძლებელია, კონკრეტულად ბოლო დღეებში არ უმუშავიათ ხელოსნებსო, არ აკონტროლებს თავდაცვა ფულის ხარჯვას, რამდენად დროულად და გეგმიურად სრულდება სამუშაოები?**

– რა თქმა უნდა, ვაკონტროლებთ ყველაფერს, მასალა რაც იყო მიტანილი, გითხარით, რომ ბოლო სამ კვირაში ერთი სართული უკვე აშენდა. ეს თანხა ხომ ტრანშებად ირიცხება. დაგეგმილია სამუშაოს გაგრძელება და სახლის მშენებლობის ბოლომდე მიყვანა. რატომ გაჩერდა ბოლო დღეებში სამუშაოები, ამის მიზეზი ისაა, რომ მალე გადაირიცხება მორიგი ტრანში და დასრულდება ყველაფერი. ასე რომ, საუბარი იმაზე, არ დავასრულოთ და შუა გზაზე მივატოვოთ, არ ყოფილა. პირიქით, იგეგმება, რომ რაც საჭიროა, გაკეთდეს.

**„ალია“ ახმეტის მაჟორიტარს ზურაბ ზვიადაურსაც დაუკავშირდა, გვაინტერესებდა, რა იცოდა გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით:**

**— ბატონო ზურაბ, ოჯახის თქმით, თავდაცვის სამინისტრომ გიორგი ანწუხელიძის სახლის მშენებლობა შეწყვიტა. რა იცით ამის შესახებ?**

– პირველად მესმის. არ ვარ საქმის კურსში. აუცილებლად მოვიკითხავ ამ ამბავს, თქვენგან გავიგე ეს და მადლობა, რომ გამაგებინეთ. თავისთავად ცხადია, მოვიკითხავ და გავერკვევი, რა ხდება.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-ს კომენტარი ხუდადოვის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტზე



შინაგან საქმეთა სამინისტრო ხუდადოვის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.

როგორც „ნიუპოსტს“ უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, ახალგაზრდები სამართალდამცველებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს, რაც სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

„ახალგაზრდებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სამართალდამცველებს, რის გამოც მოხდა მათი დაკავება“, – აცხადებენ შსს-ში.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ახალგაზრდა ბიჭი შეყვარებულს სერენადას უმღეროდა, რა დროსაც პოლიციამ ის დააკავა.

„მოულოდნელად სამოქალაქო მანქანიდან გადმოხტნენ ჩვენი საამაყო პოლიციელები და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოინდომეს ბიჭების დაკავება... დედასთან გავიქეცი, მომეხმარე, შენი შვილები მიჰყავთ პოლიციაში-მეთქი, ისიც კისრისტეხით გამოიქცა და იცით, რა მოხდა?! გამწარებულ დედას პოლიციამ დედის გინება დაუწყო...“, – წერს „ფეისბუკზე“ თამარ ფრანგიშვილი. (ნიუპოსტი)

## მერიის წინ სუპერმარკეტი დააყაჩაღეს

თბილისში, შარტავას ქუჩაზე, მერიის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სუპერმარკეტში ყაჩაღობა მოხდა, სამართალდამცავებმა უკვე დააკავეს ყაჩაღობაში ბრალდებული პირი. შარტავას ქუჩაზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ავარიას 75 წლის მამაკაცი ემსხვერპლა




ტყიბულის რაიონის სოფელ მანჭიორთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 75 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. შემთხვევა გუშინ გვიან ღამით მოხდა.

ავტომობილი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა. 75 წლის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. (ნიუპოსტი)

## ქართველმა ბიზნესმენმა თავი მოიკლა



მოსკოვში, სასტუმრო „ნაციონალში“ 68 წლის ქართველმა ბიზნესმენმა ივანე შარვაშიძემ თავი მოიკლა. ბიზნესმენის თვითმკვლელობა სასტუმროს სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა.

არსებული ინფორმაციით, ბიზნესმენმა წერილი დატოვა, რომელშიც სიკვდილის შემდგომ კრემაცია მოითხოვა.

„სასურველია, ფერფლი შავ ზღვაში ან ბალტიის ზღვაში მიმოაბნიოთ“, – ნათქვამია ბიზნესმენის წერილში.

ივანე შერვაშიძე მუსიკალური ინსტრუმენტების ბიზნესით იყო დაკავებული. (ნიუპოსტი)

## ნიკა ანთიძის ბრიფინგზე ინციდენტი მოხდა



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ბრიფინგზე საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრები შეიჭრნენ. აღნიშნულის გამო ანთიძემ ბრიფინგი აღარ გააგრძელა და ტერიტორია დატოვა.

საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრებმა და ადგილზე მისულმა სტუდენტებმა იგი შეძახილებით გააცილეს.

„ანთიძე არის კულტურული მემკვიდრეობის მნგრეველი და საყდრისის ამფეთქებელი“, – განაცხადეს სტუდენტებმა.

როგორც ცნობილია, საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრები აქციას დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელთან გამართავენ. (ნიუპოსტი)

# რა აქვს სასჯელაღსრულებას სასწრაფოდ გამოსასწორებელი?



არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზით დაავადებულთა, გარდაცვლილ პატიმართა, სუიციდის ფაქტების, დისციპლინარული დარღვევების გამო განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ, 2011-14 წლის ჩათვლით, არსებული სტატისტიკური მონაცემები შეისწავლა.

**რა შეიცვალა ციხეებში და რა უნდა გამოასწოროს, პირველ რიგში, სასჯელაღსრულებამ?**

**„ალიას“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ მაღალდაძე ესაუბრა:**

– სუიციდის ფაქტების რაოდენობრივი დინამიკა, ფაქტობრივად, სტაბილურია. 2011 წელს დაფიქსირდა თვითმკვლელობის 6; 2012 წელს – 4; 2013 წელს – 6, ხოლო 2014 წელს 4 ფაქტი. რაც შეეხება ტუბერკულოზს, 2011 წელს პენიტენციარულ სისტემაში ტუბერკულოზით დაავადებულთა რაოდენობამ 1172 მსჯავრდადებულით კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. სწორედ ეს დაავადება წარმოადგენდა პატიმართა სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. 2012 წელს ტუბერკულოზით დაავადებულთა რაოდენობა – 674-მდე, 2013 წელს კი 228-მდე შემცირდა. მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა რაოდენობა 110 შეადგენს. ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა რაოდენობის საგრძნობი შემცირება ერთმნიშვნელოვნად აისახა გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობაზე. თუ 2011 წელს გარდაცვლილ პატიმართა საერთო რაოდენობა 140 შეადგენდა, 2014 წლის მაჩვენებლით, ეს ციფრი 20 ერთეულამდე შემცირდა.

**— ტუბერკულოზის პროგრამა რომ მუშაობს, ვიცით. განთავისუფლებულ თანამშრომლებზე რა მონაცემებია? ბევრი პრეტენზია იყო, ვინც ხალხს აწამებდა, სისტემაში ისევ მუშაობენო.**

– მას შემდეგ, რაც ციხეებში თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია გასაჯაროვდა, არაერთი თანამშრომლის მიმართ დაიწყო დისციპლინარულ დარღვევებზე საქმის წარმოება, 2012 წლის ბოლოს – 25; 2013 წელს – 60, ხოლო 2014 წელს 33 თანამშრომელი განთავისუფლდა.

**— რა რჩება პენიტენციარულ სისტემაში, ამ ეტაპზე, პრობლემურ საკითხებად?**

– სისტემაში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჯანდაცვის სისტემა არის მეტად დასახვეწი. ზოგადად, ადამიანების ჯანმრთელობა დიდი რისკის ქვეშაა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ ჯანმრთელობას.

ამ დროისთვის, სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარეობს რეფორმა. ამ რეფორმის ფარგლებში ევროპულ სტანდარტებამდე უნდა მივიდეს პენიტენციარული სისტემა. ჯერჯერობით, ისევ ძველი შენობა-ნაგებობები გვაქვს, ინფრასტრუქტურა გაუმართავია, რაც გარკვეულ დისკომფორტს იწვევს მსჯავრდადებულებში. ანუ, ამ ეტაპზე, არ გვაქვს ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული სრული პენიტენციარული სისტემა. ის, რომ ეს საკითხი ვერ გვარდება, არის იმ მიზეზით, რომ რეფორმა განხორციელების პროცესშია და საბოლოო ნიშნულამდე არ მისულა. დროშია გაწერილი ეს პრობლემა, იმდენად, რამდენადაც ერთიანად ვერ შეიცვლება მთელი სისტემა.

**— შესწავლის პროცესში რა დასკვნა გამოიტანეთ, პირველ რიგში, რა უნდა გამოასწოროს სისტემამ რეფორმის დასრულებამდე?**

– პირველი ის, რომ მსჯავრდადებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები უფრო მეტი ინტენსივობით ხორციელდებოდეს, სასჯელის მოხდის პერიოდში ფსიქოსოციალური პროგრამები უნდა განხორციელდეს მეტი ინტენსივობით, მოხდეს ტუბერკულოზის პრევენცია საწყისშივე მეტი ხარისხით და მეტი ძალისხმევით, ვიდრე ახლაა, ხოლო დისციპლინარულ დარღვევებთან დაკავშირებით, შიდა გენინსპექცია უფრო მაღალი ხარისხით უნდა აღიჭურვოს.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# როგორ მოიქცევიან ერთ დარბაზში სააკაშვილი და მარგველაშვილი?



ხალხის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში, ბიუჯეტის ძარცვაში, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი და ხუთ საქმეში ბრალდებული, ძებნილი მიხეილ სააკაშვილი, ევროპარლამენტის სესიას დაესწრება, სადაც საქართველოს პრეზიდენტი და დელეგაციის სხვა წევრებიც იქნებიან, საინტერესოა, როგორ მოიქცევიან პრეზიდენტი მარგველაშვილი და საქართველოს დელეგაციის სხვა წევრები და შეეცდებიან, თუ არა მინიმუმ საჯაროდ გააგებინონ ევროპარლამენტარებს, რომ საქართველოს სამართალდამცველები ეძებენ ამ დამნაშავე სუბიექტს? საქმე გვაქვს პოლიტიკურ კაზუსთან, ჩვენ მომსწრენი ვხდებით იმ პოლიტიკური საოცრების, როცა ერთ დარბაზში ვიხილავთ დღეს ძებნილსა და ხელისუფალს.

სააკაშვილი სტრასბურგში, ევროპარლამენტის წევრის იაცეკ ვოლსკის მიწვევით აღმოჩნდა. ამ უკანასკნელმა, სულ ახლახან, პოლონეთში სააკაშვილს „თავისუფლების რაინდის“ წოდება მიანიჭა და მას მიულოცა, რომ „პუტინის კოშმარი“ გახდა და იქვე განაცხადა, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ევროპარლამენტი სააკაშვილის საქართველოს დაუმტკიცებს და არა ბიძინა ივანიშვილისას. აი, უკვე მერამდენედ გვაყენებს ქართველ ხალხს შეურაცხყოფას ეშმაკთან წილნაყარი იაცეკ ვოლსკი.

მოკლედ, ევროპარლამენტი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას მოახდენს და ასევე მიიღებს რეზოლუციას. უცნაური ისაა, რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი სტარსბურგში გამგზავრებას არ გეგმავდა. შეკითხვაზე, – მიიღო თუ არა პრეზიდენტმა ევროპარლამენტისგან ღონისძიებაზე დასწრების მოსაწვევი, საგარეო ურთიერთობების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა თენგიზ ფხალაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტს არ სჭირდება მოწვევა. პრეზიდენტი არის ქვეყნის მეთაური და როდესაც განიხილება საქართველოს საკითხი, მას აქვს სრული უფლება, ღონისძიებას დაესწროს.

ცხადია, გაჩნდა ეჭვები, არის თუ არა რაიმე ბმა პრეზიდენტის სტრასბურგში გამგზავრების გადაწყვეტილებასა და იქ მიხეილ სააკაშვილის ჩასვლას შორის? ოფიციალური პასუხის მიხედვით, ესაა დამთხვევა და არანაირი კავშირი არ არსებობს ძებნილისა და ხელისუფალის ვიზიტს შორის. ცხადია, ჩვენ შეგვიძლია ჰიპოთეზა განვავითაროთ და ვთქვათ, რომ პოლიტიკურ დამთხრაც სააკაშვილმა შექმნა ევროპაში, დღემდე მუშაობს. მათზე მოახდინა შთაბეჭდილება, რომ არის პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც დემოკრატიის შუქურის სახელი დაიმსახურა, ის, რაც უწოდეს ამერიკელებმა. დანარჩენი ინფორმაცია, თუ რას სჩადიოდა საქართველოში, ან არა აქვთ, ან არ გამოვრიცხავ, რომ არც აინტერესებთ. მათთვის გადამწყვეტია, რას ამბობს სააკაშვილი რუსეთზე. ის ამბობს, საქართველო ევროპისკენ მიმყავსო, ამ პროცესების ფონზე ღმერთო შეგცოდე და ცოტა უნდობლობა მიჩნდება, დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოლიტიკური ანალიზის შესაძლებლობების. დავუშვათ, მათ არ იციან სააკაშვილი 9 წლის მანძილზე რას აკეთებდა საქართველოში, მაგრამ მის მიერ საგარეო პოლიტიკაში გადადგმულ ნაბიჯებს თუ ფხიზელი თვალით შეაფასებენ, ეს არ არის ანტირუსული ნაბიჯები, ცალსახად, როგორც მათ წარმოუდგენიათ. ბევრი რამ, რაც სააკაშვილმა გააკეთა, რუსეთს აწყობდა და ანტირუსული რიტორიკაც პუტინისთვის სასარგებლოა იმიტომ, რომ პარალელურად, სააკაშვილის ამ რიტორიკამ საქართველოში კარი გაუხსნა რუსულ ბიზნესს. ამ მოვლენებს

ვევებში ეშმაკის ხელი ურევია, თუმცა ვნახოთ, როგორ მოექცევა ძებნილ ნაპრეზიდენტალს გიორგი მარგველაშვილი.

რატომ გააქტიურდა ძებნილი სააკაშვილი? რისთვის სჭირდება მას სტარსბურგის ტრიბუნა? რატომ მფარველობენ დღემდე ევროპელი ლიდერები?

**შევეცდებით, ეს ფსიქოლოგისა და ექსპერტის, რამაზ საყვარელიძის დახმარებით გავარკვიოთ:**

– რატომ ამყოფებენ სააკაშვილს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ევროპელები? – ეს თანამედროვეობის ერთ-ერთი რთული და მე მგონი, ჩვენი ხელისუფლებისთვის თავსატეხი კითხვაა. მე შემიძლია ჩემი ვერსია შემოგთავაზოთ. ის იმიჯი, თუკი დასავლელი პოლიტიკოსები ვერ ხედავენ, მაშინ, ალბათ, ძალიან ადვილი გასაგებია, რატომ უგებს ყველა პოლიტიკურ რაუნდს პუტინი დასავლეთს. 2008 წლის ომს კიდევ ერთი საერთაშორისო ფუნქცია ჰქონდა, არა მარტო რეგიონალური კონტროლის, რომ დასავლეთს დაენახა პუტინის აგრესიული სახე, ეს სურდა თავად პუტინს, რომ გაჩენილიყო მსოფლიოში რუსეთის შიში. სწორედ რუსეთისადმი შიშის წარმოშობას შეუწყო ხელი მიხეილ სააკაშვილმა, რისთვისაც პუტინის მადლობა ეკუთვნის სააკაშვილს.

**— ევროპარლამენტი ყოველწლიურად იღებს რეზოლუციას. 9 წლის მანძილზე გახსენდებათ რომელიმე ოპოზიციური ლიდერი რომელიმე ევროდეპუტატს მიეწვიოს? რითია გამორჩეული სააკაშვილი, სხვა ქართველი ოპოზიციური ლიდერებისგან?**

– ოპოზიციის მიწვევა ევროპარლამენტში, არ არის ძირითადი წუხილი, იქ იწვევენ ისეთ ოპოზიციას, რომელთაც პოლიტიკურ სტრუქტურაში ადგილი უკავიათ, მაგალითად, საპარლამენტო ოპოზიცია. ოპოზიციურ ლიდერს, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურაში არანაირი ადგილი არ უკავია, ევროპარლამენტში არ უნდა იყოს მიწვეული, რადგან სხვებსაც შეუძლიათ თქვან, მეც ისეთივე ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვარ, როგორიც სააკაშვილი.

**— ევროპარლამენტარებისა და დასავლელი ლიდერების ასეთი დამოკიდებულება, როცა საქართველოს კოშმარს ასაღებენ თავისუფლებისთვის მებრძოლ რაინდად, დამნაშავეს — დემოკრატად და თავს გვახვევენ კვლავ სააკაშვილს, როგორც ლიდერს, გამოიწვევს თუ არა ხალხის გაღიზიანებას და ევროპული კურსისადმი ანტაგონიზმს?**

– იყო პერიოდი, ქართველები მიტინგებსაც აწყობდნენ იგივე მოტივით, რომ ევროპისთვის თვალი აეხილათ, ემხილებინათ სააკაშვილის რეჟიმი. გვახსოვს, ამერიკის საელჩოსთან კეთდებოდა სხვადასხვა განცხადებები, მაგრამ დასავლეთი დიდად არ შეწუხებულა ამის გამო და არაფერი შეცვლილა. ხალხის რეაქცია არ აღმოჩნდა მდგრადი, ამიტომ დასავლეთმა გააგრძელა იგივე კურსი სააკაშვილის მხარდაჭერის კუთხით. დასავლეთს რომ ენახა, მისი პოლიტიკა დამღუპველია, აღარ ექნებოდა ასეთი ცალსახა დამოკიდებულება სააკაშვილისადმი, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოება არ აღმოჩნდა კრიტიკული და თანამიმდევრული. ძალიან ძნელია, იყო კრიტიკული დასავლეთის მიმართ იმ ფონზე, როდესაც ასეთ კრიტიკულობაზე ჩასაფრებულია რუსეთი. ალბათ, ხალხმაც მეტი სიფრთხილე გამოიჩინა ამ კუთხით, რომ ეს მათი კრიტიკა არ გადაზრდილიყო პრორუსულობაში. რა თქმა უნდა, ეს საფრთხე დღესაც არსებობს და ხალხი ამიტომაც თავშეკავებულია დასავლეთის მიმართ, რომ დასავლეთისადმი ზედმეტი კრიტიკით რუსეთმა არ ისარგებლოს. დასავლეთის მიმართ კრიტიკა არსებობს, მხოლოდ ქუჩის დონეზე. ამის პოლიტიკურ ფაქტად ქცევა, რომ გამოვიდნენ დასავლეთის წინააღმდეგ, რუსული პოლიტიკის მომხრეებში აჩენს ვერსიას, რადგან გამოცვივდნენ დასავლეთის წინააღმდეგ, ე.ი. რუსეთის მომხრეები არიან.

**— უცნაური აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არც ერთი არ აპირებდა, დასწრებოდა ევროპასთან ასოცირების რატიფიცირებას. გადამწყვეტ მომენტში, როცა ცნობილი გახდა, რომ სააკაშვილი ჩავიდოდა სტრასბურგში, დასწრების სურვილი პრეზიდენტმა გამოთქვა. რას დავაბრალოთ ეს, საგარეო საქმეთა მინისტრისა და მთლიანად მისი უწყების არაკომპეტენტურობას? ფაქტია, რომ „ნაციონალებსა“ და სააკაშვილს დასავლეთზე ბევრი აქვს ნამუშევარი და ამის განეიტრალებას ხელისუფლება არ ცდილობს...**

– რასაც ჩვენ ვითხოვთ მინისტრებისგან, ეს არის პასუხისმგებლობისა და ინიციატივის ხელში აღება, ამას სჭირდება გამოცდილება. თითზე ჩამოსათვლელია საგარეო საქმეთა მინისტრები, ვინც თავისუფალია თავის მოქმედებებში. მოქმედების სანქცია უნდა მიიღონ პირველი პირისგან.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საყდრისის მცველები“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შეხვდნენ



„საყდრისის მცველებმა“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დავით პატარაიასთან შეხვედრა გამართეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მუშტის“ წარმომადგენელმა სალომე ჭანტურიძემ განუცხადა, შეხვედრაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებს საყდრისის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. ჭანტურიძის ინფორმაციით, მათ პრეზიდენტს მისი კომპეტენციიდან გამომდინარე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სთხოვეს.

გარდა ამისა, „საყდრისის დამცველების“ ინფორმაციით, მათ პრეზიდენტს კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში მთავრობასთან შუამდგომლობაც შესთავაზეს.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტი საკუთარ პოზიციას უახლოეს დღეებში დააფიქსირებს.

„საყდრისის დამცველები“ 13 დეკემბრიდან პერმანენტულ აქციებს მართავენ. ისინი 2014 წლის 12 დეკემბრის მინისტრისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებას აპროტესტებენ, რის საფუძველზეც „არემჯი გოლდმა“ სამთო მოპოვებითი სამუშაოები საყდრისი-ყაჩაღიანის №1 სალიცენზიო უბანზე განაახლა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ოცნებას“ გლეხებისთვის ოცნება აუსრულებია

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენებას მოისმენს.

სოფლებში კოოპერატივების შექმნა კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებების ნუსხაში შედიოდა და სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის ნაწილს მოიცავდა.

**რა გაკეთდა ამ კუთხით „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში?**

**„ალიას“ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, გიგლა აგულაშვილი ესაუბრა:**

– პერიოდულად, წელიწადში ორჯერ, ახლა კი წლის დასასრულისკენ, ვისმენთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ანგარიშებს. ამჯერად კოოპერატივების სააგენტოს ჯერია. მანამდე გვქონდა თემა – მელიორაცია და შპს „მექანიზატორი“, ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. რაც მათ წლის განმავლობაში გააკეთეს, ამ ანგარიშს მოვისმენთ.

**— რა სამუშაოები გასწიეს მათ ამ წლის განმავლობაში?**

– ისინი, მთელი წლის განმავლობაში დადიოდნენ, ჰქონდათ ინტენსიური შეხვედრები ფერმერებთან, აცნობდნენ კოოპერატივის უპირატესობებს და ხელს უწყობდნენ კოოპერატივების შექმნასა და დაფუძნებას. იღებდნენ შესაბამის დოკუმენტებს, განაცხადებს, შემდეგ, ამ განაცხადებიდან ისეთებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კანონის მოთხოვნებს,



ანიჭებდნენ სტატუსს, მერე მათთვის დაიწყეს კონკრეტული ღონისძიებების გატარება – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა კოოპერატივებს გადაეცემათ ღირებულების 23%-ში. ანუ ახალისებენ ამ პროცესს.

**— ანუ მთელი წლის განმავლობაში ძირითადად ინფორმირებას ეწეოდნენ მხოლოდ?**

– არამხოლოდ. უკვე შეიქმნა კოოპერატივები, რაც სააგენტო ჩამოყალიბდა, 400-ზე მეტი კოოპერატივია შექმნილი საქართველოს მასშტაბით.

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80



# 26 დეკემბერს ძებნილი სააკაშვილი ძებნილ კოდუასთან უნგრეთში ჩადის

## რას დაგეგმავენ ნაციონალები?

26 დეკემბერს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში „ნაციონალებს“ დიდი შეკრება აქვთ. სოციალურ ქსელებში უკვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ „ინტერპოლის“ მიერ ძებნილმა ერეკლე კოდუამ ბუდაპეშტში სახლი იყიდა და საახალწლოდ მეუღლესა და მეგობრებს ელოდება:

„26-ში თბილისის აეროპორტიდან აფრინდებიან ნანუკა ჟორჟოლიანი და ლელა კილაძე, მათ 30-მდე სხვა „ნაცჟურნალისტიც“ შეუერთდება და ჩაფრინდებიან ბუდაპეშტში, სადაც ძებნილმა ერეკლე კოდუამ სახლი შეიძინა, „ნოვოსელია“ აქვთ! ახალ წელს მიშა შერეკილიც იქ მიბრძანდება, საიდუმლო სერობაც მოეწყობა და ნაახალწლევს ახალი დავალებებით ჩამობრძანდებიან. ვინც გააპროტესტებს, ტყუილიაო, მიბრძანდეს აეროპორტში და ყველას ერთად დააფიქსირებს!“

ამ ინფორმაციას ერეკლე კოდუას მეუღლე, ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა და ყველაფერი თითქოს ხუმრობაში გაატარა, თან თავის მეგობრებს მოუწოდა, მართლა მივიდეთ აეროპორტში, ესენი სულ გადავიყვანოთ ჭკუიდანო. თუმცა, როგორც „ალიას“ სანდო წყარო ატყობინებს, ჟორჟოლიანი ტყუილად „ღადაობს“, აეროპორტში უკვე გაყიდულია 40-მდე ბილეთი ბუდაპეშტის მიმართულებით და ცნობილია იმ ადამიანების ვინაობაც, რომლებიც ახალი წლის დღეებს უნგრეთში მიხეილ სააკაშვილთან და ზურაბ ადეიშვილთან ერთად გაატარებენ:

„16 დეკემბრის ღამეს ერეკლე კოდუას ცოლმა „ფეისბუკში“ ერთი ამბავი ატეხა, ყველაფერი ტყუილიაო, მაგრამ დაახლოებით 15 წუთში ქმარმა დაურეკა და კატეგორიულად მოსთხოვა, ამ თემაზე ხმა აღარ ამოეღო. მან „ბრძანება“ უსიტყვოდ შეასრულა და თავისი „პოსტი“ რამდენიმე წამში წაშალა. მართალია ერეკლე კოდუა, ეს თემა ნამდვილად არ არის საღადაო, ქვეყნიდან გაქცეულ „ნაციონალებს“, მიშა სააკაშვილის თამადობით, აქ დარჩენილებთან სალაპარაკო დაუგროვდათ, ე.წ. „ნოვოსელია“ მხოლოდ მიზეზია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზურაბ ადეიშვილმა უკვე მიიღო უკრაინის მოქალაქეობა და პოროშენკოს ხელისუფლებაში საკვანძო ფიგურა ხდება. ასევე, ცნობილია, რომ ადეიშვილი უკვე მუშაობს კანონპროექტებზე პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელსაც განიხილავენ და შემდეგ უკრაინის რადა დაამტკიცებს. ადეიშვილი ასევე მუშაობს კანონზე ანტიკორუფციული სამსახურის საქმიანობის შესახებ. როგორც ამბობენ, ამ ადამიანს, რომელიც ძებნილია, უკრაინაში ანტიკორუფციული სამსახურის უფროსად დანიშნავენ. ეკა ზღულაძე, ალექსანდრე კვიტაშვილი, ეკა ტყეშელაშვილი, გია გეწაძე... ესენი უკვე „დააბინავა“ მიხეილ სააკაშვილმა. ამის შემდეგ მოდის შედარებით დაბალი თანამდებობები, იქაც სჭირდებათ თაღლითობაში გაწვრთნილი კადრები. ასე რომ, სალაპარაკო ბევრი აქვთ გაქცეულ და დარჩენილ „ნაციონალებს“.

ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ბუდაპეშტში წამსვლელთა სიაში (ზემონახსენები ადამიანების გარდა) არიან: მათე კირვალიძე, ნინო გაბრიაძე, ტატა სახელაშვილი, ნინო პატაშური და ხათუნა ბერძენიშვილი. რაც შეეხება ირმა ნადირაშვილის საპარლამენტო და „თავისუფალი ზონის“ „სასტავს“, როგორც კულუარებიდან ხდება ცნობილი, აქ ჯერ კიდევ დაუზუსტებელია, ვინ წავა. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა „ნაცმოძრაობა“ და მასთან გაიგივებული ჟურნალისტთა კორპუსი 26 დეკემბერს თბილისის აეროპორტში შეიკრიბება. ვიმეორებ, ჩამოთვლილთაგან თითქმის ყველა ცდილობს, ეს ფაქტი იუმორის ჟანრში გადაიტანოს, თითქოს სიცრუეა და ისინი არსადაც არ აპირებენ წასვლას.

დღეს მიხეილ სააკაშვილს პურმარილზე მეტად ის უფრო აწუხებს, როგორ დასაჯოს ბიძინა ივანიშვილი, ხოლო შემდეგ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი, რომელმაც 2012 წლის შემოდგომაზე „უღალატა“. დღეს ის ისეა „გაბლატავებული“, როგორც არასდროს – იქით ვლადიმერ პუტინზე ლაპარაკობს ნიშნისმოგებით, ქვეყანა თავზე დაენგრაო, აქეთ – საქართველოზე, ხელისუფლება იქამდე მივიდა, რომ ლარი რუბლზე მიაბა და გააუფასურაო. ჩვენ კი ვხედავთ, როგორ არის მიბმული ლარი რუბლზე, მაგრამ მიშას პიარი გასდის და ისიც უბერავს.

დაველოდოთ დიდ „სხადნიაკს“ ბუდაპეშტში, ეჭვიც არავის ეპარება, რომ სააკაშვილ-ადეიშვილს „საუკუნის“ პროექტი აქვთ შემუშავებული, თუ როგორ „ააღორძინონ“ ჯერ უკრაინა, შემდეგ კი საქართველო.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რელიგიის სააგენტოს კომისიამ მართლმადიდებლური ეკლესიის 7 მოთხოვნა დააკმაყოფილა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს კომისიამ მართლმადიდებლური ეკლესიის სხდომაზე შეტანილი 15 საკითხიდან მხოლოდ 7 მოთხოვნა დააკმაყოფილა.

საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფოს სააგენტოს თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის განცხადებით, განხილული იქნა მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შეტანილი 15 საკითხი, აქედან დაკმაყოფილდა მხოლოდ 7 მოთხოვნა და გაიცა რეკომენდაცია. ზაზა ვაშაყმაძის ინფორმაციით, დანარჩენი 8 საკითხიდან 5 საქმეზე გამოვლინდა ხარვეზი, 2 საქმეს უარი ეთქვა, ხოლო ერთი საკითხი თვითონ მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან მოიხსნა.

„გაცემული ნებართვები, ძირითადად საკულტო შენობა-ნაგებობების მშენებლობების კუთხით თანხის გამოყოფას ეხებოდა. რაც შეეხება ხარვეზებსა და უარს, მაგალითად, ერთ-ერთია სკოლის გადაცემის საკითხი, რომელიც დამატებითი ინფორმაციის მოძიებას საჭიროებს. საუბარი იყო ასევე გარკვეული დანიშნულების საქონლის მოთხოვნაზე და ამაზე სააგენტომ უარი უთხრა“, – განაცხადა ზაზა ვაშაყმაძემ.

კომისიის სხდომას ესწრებოდა პატრიარქის მდივანი, მამა მიქაელ ბოტკოველი. მისი თქმით, სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 7 ეკლესიის მშენებლობისთვის გამოიყოფა გარკვეული თანხები, რომლებიც დაახლოებით 10 000-12 000 ლარს შეადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით მასალები უკვე მიწოდებულია სააგენტოსთვის და შევსებულია ასევე ინვოისები. მამა მიქაელ ბოტკოველმა კომენტარი გააკეთა იმ საკითხზეც, რომელზეც საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს კომისიამ უარი უთხრა.

„რაც შეეხება სკოლის გადაცემის საკითხს, ეს სკოლა მდებარეობს ქუთაისში და ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის, რადგან შესასწავლია და დამატებითი დოკუმენტაციაა წარმოსადგენი. თვითონ სკოლა ამორტიზებული და უფუნქციოა“, – აღნიშნა მამა მიქაელმა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებულ რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი კომისიის მეორე სხდომა გაიმართა. მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების გარდა, დღეს კომისიის წევრები მუსლიმანური თემის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

### პროკურატურამ ყოფილი პოლიციელები დამნაშავედ ცნო



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მტკიცებულებების ფალსიფიკაციაში, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით პირის დევნისა და განზრახ უკანონო დაკავებაში ბრალდებულები დამნაშავედ ცნო. შს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს ყოფილი უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ემზარ მაისურაძეს, ზუგდიდის რაიონული სამმართველოს ყოფილი უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროს გამომძიებელს გელა ნაროუშვილსა და მოქალაქე ოთარ მოვსესიანს ბრალი საქართველს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, 15-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ჰქონდათ წარდგენილი.

სასამართლოზე დადგინდა, რომ 2012 წლის მარტში ემზარ მაისურაძემ და გელა ნაროუშვილმა, ოთარ მოვსესიანისა და სხვა პირების დახმარებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობის ხელის შეშლისა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა დაშინების მიზნით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი აქტიური წევრი სერგო ჩაჩიბაია, ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, კონფლიქტური სიტუაციის ინსცენირების შედეგად, უკანონოდ დააკავეს. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით ე. მაისურაძემ თანმხლებ პირებთან ერთად განზრახ დააზიანა სამსახურებრივი ქურთუკი და პოლიციის სამსახურებრივი ავტომანქანის სავარძელი, რაც შემდეგში სერგო ჩაჩიბაიას მიერ, თითქოსდა პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი მტკიცებულება გახდა. სერგო ჩაჩიბაია მიეცა პასუხისგებაში სსკ 353-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მტკიცებულებები და ემზარ მაისურაძეს დანაშაულთა ერთობლიობით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, რომელსაც საბოლოოდ ამნისტიის აქტის გამოყენებით სასჯელის სახით 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ასევე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. გელა ნაროუშვილს დანაშაულთა ერთობლიობით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა და საბოლოოდ ამნისტიის აქტის გამოყენებით სასჯელის სახით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ასევე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. ოთარ მოვსესიანს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, საბოლოოდ კი, ამნისტიის აქტის გამოყენებით სასჯელის სახით 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. ამჟამად გელა ნაროუშვილი და ოთარ მოვსესიანი მიმალვაში იმყოფებიან და მათზე გამოცხადებულია ძებნა. (ნიუპოსტი)



# გოგა ხაჩიძე მოსახლეობისთვის უპროცენტო თანხების გაცემას მოითხოვს

## სერგო ჯავახიძე: „მე ასეთი დებილობა ჯერ არ წამიკითხავს და ძალიან მიკვირს, პარლამენტმა მსჯელობა როგორ მისცა“

**საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, გოგა ხაჩიძემ პარლამენტში კანონპროექტი შეიტანა, რაც „მუქთი ფულის“ დარიგებას ითვალისწინებს და მისი აზრით, 2015 წლის პირველი აპრილიდან უნდა შევიდეს ძალაში. მართალია, პირველი აპრილია მითითებული (ამ დროს მოტყუება ადვილია), მაგრამ პარლამენტმა ამ კანონპროექტს მსვლელობა უკვე მისცა. აქ საუბარია ე.წ. უფასო ფულის მოზიდვა-დარიგებაზე, რომლის შინაარსი თავად პარლამენტარებმაც ვერ გაიგეს. მაგალითად, ვიცე-სპიკერმა, მანანა კობახიძემ თავისი აზრი ასე გამოხატა: „საინტერესოა, უფასო ფულთან დაკავშირებით პრეცედენტი არსებობს თუ არა. ამ კანონზე მუშაობა საინტერესოა“.**

კანონპროექტის განმარტებით ბარათში კი ასეთ რამეს ვკითხულობთ: „უფასო ფულის“ შესახებ კანონპროექტი ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის წევრების დაპირებების შესრულებას ითვალისწინებს. მათ კარგად იცოდნენ, როგორ მოხდებოდა აღნიშნული ფულის მოძიება და დარიგება. იმისთვის, რომ აღნიშნული დაპირება რეალურად შესრულდეს, საჭირო გახდა შესაბამისი მექანიზმების შექმნა, რამაც განაპირობა აღნიშნული კანონის შემუშავება“.

კანონპროექტის პირველივე თავში ნათქვამია, რომ „უფასო ფული“ (ანუ უპროცენტო. – გ.ზ.), ფინანსური რესურსი არის საშუალება, რომლით სარგებლობის ხარჯებსაც (პროცენტებს) ფარავს სახელმწიფო. ესე იგი, სახელმწიფო მოიზიდავს დამატებით თანხებს, დაგვირიგებს და ჩვენ პროცენტებს არ გადავიხდით. პროექტის მიხედვით, ამ „სიკეთით“ ისარგებლებენ ფიზიკური პირები, რომლებიც 2003-2012 წლებში მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში. ასევე, იურიდიული პირები, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიები და სამეწარმეო იურიდიული პირები, რომლებსაც 2003-2012 წლებში დაერიცხათ საგადასახადო ჯარიმები და სანქციები.

ხაჩიძის დავთრების მიხედვით, უნდა შეიქმნას საბჭო, ანუ „უფასო ფულის“ მიმოქცევაზე პასუხისმგებელი ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან: პრემიერ-მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკისა მინისტრი და ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

კი, მაგრამ სად არის ეს „მუქთი ფული“, საიდან უნდა მოიტანოს სახელმწიფომ? კანონპროექტი ამტკიცებს, რომ ასეთი ფული არის საპარტნიორო ფონდში. ასევე, კაიმანის კუნძულებზე რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდში, სადაც, სულ მცირე, 6 მილიარდი დოლარი დევს. თუ ამ ფულის დახარჯვა არ გინდათო, ამბობს ხაჩიძე, მაშინ ამ კანონის მიზნებისთვის შევქმნათ სპეციალური ფონდიო.

კეთილი და პატიოსანი, დავუშვათ, ფული სეტყვასავით წამოვიდა კაიმანის კუნძულებიდან, როგორ გავანაწილოთ, როგორ შეირჩევა, ვინ იმსახურებს და ვინ – არა? წესი და პირობები ასეთია: პირმა (ადამიანმა) უნდა მიმართოს საბჭოს, წარუდგინოს ბანკის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება, რომ ბანკი მზადაა, გასცეს თანხა აღნიშნულ პირზე. გარდა ამისა, იურიდიულმა პირმა, რომელსაც 2003-2012 წლებში დაერიცხა საგადასახადო ჯარიმები და სანქციები, უნდა წარადგინოს ჯარიმების, სანქციების დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უფასო ფულით სარგებლობაზე საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში, ხოლო ბანკი ვალდებულია, თანხა გასცეს 3 სამუშაო დღის ვადაში. ბანკის მიერ გაცემული თანხა არ უნდა იყოს 2 000 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს. თანხის გაცემა შეიძლება არ უკავშირდებოდეს სამეწარმეო საქმიანობას. აი, აქ „იჭედება“ ხაჩიძე, სხვას რას უნდა უკავშირდებოდეს? შემიძლია ეს ფული წავიღო კაზინოში? არა, „ნაციონალებს“ სხვა რამე აწუხებთ, ეს ხელისუფლება უნდა ჩამოშალონ თავისივე „უფასო“ ფულით. კი, ქალბატონო მანანა (კობახიძეს მივმართავ), ძალიან „საინტერესო“ კანონპროექტია.

დავუშვათ, ბანკმა მომცა ფული და წავედი „საგულაოდ“, რა ხდება ამის შემდეგ? უფასო ფულით სარგებლობის პროცედურების გავლის შემდეგ, საბანკო დაწესებულებას, ავტომატურ რეჟიმში, ყოველთვიურად აუნაზღაურდება კრედიტით მომსახურების ის თანხა, რაც მას უნდა მიეღო შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირისგან. ამ თანხის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია ის ფონდი, რომელსაც მიუთითებს საბჭო თავის გადაწყვეტილებაში. თუმცა ყველაფერი ამით არ მთავრდება – „ნაციონალებს“ გრაფიკიც გაუწერიათ, თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პერიოდულობით: თუ თანხა არ აღემატება 10 000 ლარს – მისი გადახდა განხორციელდება არაუმეტეს 3 წელიწადში, თუ თანხა არ აღემატება 30 00 ლარს – 7 წელიწადში, ხოლო თუ არ აღემატება 50 000 ლარს – 10 წელიწადში.

კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება: „კანონის მიღება უკავშირდება მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საპარტნიორო ფონდში, ასევე კაიმანის კუნძულებზე დარეგისტრირებულ ფონდში უკვე მობილიზებულია 6 მილიარდამდე აშშ დოლარი, რის შესახებაც განცხადება გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა. კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხარჯები გაღებულ იქნება სპეციალური ფონდებიდან“. ესე იგი, აქ ხაზგასმით გვეუბნებიან, ბიუჯეტს არ ვეხებით, რიგით მოკვდავებს არაფერი მოგაკლდებათო. ასევე, კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა. რაც მთავარია, ხაჩიძის დავთარი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს. დაბოლოს, იგივე ხაჩიძე განმარტებით ბარათში წერს, ამ პროექტის შედგენაში არც ერთ ექსპერტს, არც ერთ ეკონომისტსა და ფინანსისტს მონაწილეობა არ მიუღიაო.

**ვისი ფულის დარიგებას ითხოვს „ნაციონალი“ დეპუტატი? რამდენად განხორციელებადია ხაჩიძის ინიციატივა? რა ხდება და რასთან გვაქვს საქმე? რა ეტაპზეა პარლამენტში ეს საკითხი?**

**„ალიას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ესაუბრება:**

– მე ასეთი დებილობა ჯერ არ წამიკითხავს და ძალიან მიკვირს, პარლამენტმა მსვლელობა როგორ მისცა. ტიპი წერს, ფინანსებს საბჭო გააკონტროლებს და უფროსი ირაკლი ღარიბაშვილი უნდა იყოსო. ესე იგი, ყველა უნდა წავიდეს ჯერ ბანკში, აიღონ ცნობა და მერე მიმართონ საბჭოს. შენ როგორ ფიქრობ, რამდენი ცნობა და განცხადება შევა, ეს ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრია თუ კრედიტ-მენეჯერი? გარდა ამისა, ფულის მიცემა რაიმე უზრუნველყოფის გარეშე არ შეიძლება.

**— თან უწერია, შეიძლება არასამეწარმეო მიზნითაც გაიცესო.**

– შეიძლება ვალებიც გაისტუმრო და კაზინოშიც წახვიდე, არა?

**— აქ ერთი რამე მაინტერესებს: კარგი, ფონდს ეუბნებიან, შენ გადაიხადე პროცენტებიო, ძირს როგორ და რა ვადაში ვფარავ?**

– ძირს ფარავ იმ ვადებში, რა ვადებიც აქვთ მითითებული, 3 წელი, 7 წელი და 10 წელი. ეს არის დემაგოგია და პარლამენტის მასხრად აგდება. ნახე, ხაჩიძე წერს, კაიმანის კუნძულებზე რომ ფონდი გაქვთ დარეგისტრირებული, ფული იქიდან მოიტანეთო და თან პრემიერ-მინისტრმა გააკონტროლოსო, აქ ბიუჯეტი და სახელმწიფო არაფერ შუაშიაო. თუ სახელმწიფო და ბიუჯეტი არაფერ შუაშია, მაშინ პრემიერ-მინისტრი რა შუაშია? საინვესტიციო ფონდი და კიდევ მსგავსი, თუ კაიმანის კუნძულებზეა დარეგისტრირებული, კერძოა, იქ კერძო ბიზნესმენებს აქვთ ფული დაბანდებული. ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ ფონდში 6 მილიარდი გვაქვს და იქიდან იხადონ პროცენტებიო. გინდა უპროცენტო სესხი იყოს, გინდა – იაფი კრედიტი, უზრუნველყოფის გარეშე ვერავინ ვერაფერს მიიღებს. რაც აქ წერია, კანონპროექტთან საერთო არაფერი აქვს, გოგა ხაჩიძე უმრავლესობას ალადავებს და იქ კიდევ არავინ არის ისეთი, რომ რაღაცას მიხვდეს. თუ გინდა იმ ბიზნესმენებზე ვთქვათ, ვისაც ამათ დედა უტირეს 2003 წლიდან 2012 წლამდე, რას ამბობენ, ჩვენ ჯარიმები დავაკისრეთ, გავანადგურეთ და ახლა თქვენ გადაუხადეთ ფულიო? ამათ ასი ათასობით მეწარმე გაანადგურეს და მილიონები დაარიცხეს. კარგი, რააა, პარლამენტში რომ სხედან, რას ფიქრობენ, ასეთ რაღაცაზე მსჯელობა საერთოდ შეიძლება?

**პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ალექსანდრე ტაბატაძის განმარტებით, ამ ეტაპზე მსჯელობა დოკუმენტის სრულყოფილების შესახებ მიმდინარეობს და არა შინაარსობრივ მხარეზე. მისი თქმით, შინაარსის შესახებ დასკვნას ამ ეტაპზე ვერც იურიდიული დეპარტამენტი და ვერც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ვერ გააკეთებენ.**

**ბიუროს გადაწყვეტილებით კანონპროექტზე წამყვან კომიტეტად საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი განისაზღვრა. საღოლ, პარლამენტი და უმრავლესობა, ამდენ „განათლებულ“ ხალხში ერთი არავინ გამოჩნდა, რომ ხაჩიძეს ეს ნაჯღაბნი თავზე დაახიოს და თავი მასხრად არ ააგდებინოს.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### 15 წლის გოგონას ახლობლებმა მისი 19 წლის შეყვარებული მოკლეს



15 წლის გოგონას ახლობლებმა მისი 19 წლის შეყვარებული დანით მოკლეს. „ფრონტნიუსის“ ინფორმაციით, მკვლელობა გუშინ საღამოს ვარკეთილში მოხდა.

არსებული ინფორმაციით, გოგონა და მისი შეყვარებული ავტომანქანაში ისხდნენ და საუბრობდნენ, მოულოდნელად მანქანას უკნიდან მეორე შეეჯახა, რომელშიც გოგონას მამა, ძმა და ბიძა ისხდნენ. მათ გოგონა ავტომანქანიდან ძალის გამოყენებით გადმოიყვანეს, ბიჭს კი დანით გულ-მკერდის არეში ჭრილობა მიაყენეს და შემთხვევის ადგილი დატოვეს.

შინ მისულმა გოგონამ მომხდარის შესახებ მეგობარს ტელეფონით უამბო და ამბავიც, სავარაუდოდ, ასე გახმაურდა.

დაჭრილი ახალგაზრდა ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ალსანიშნავია, რომ გარდაცვლილი დედისერთა იყო. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...



### „საქართველომ შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმი შესაძლოა რიგის სამიტზე მიიღოს“

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველომ და უკრაინამ 2015 წელს შესაძლოა, შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის უფლება მიიღოს.

ამის შესახებ ედგარს რინკევიჩმა „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას განაცხადა.

„უკრაინასაც და საქართველოსაც აქვთ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიღების შანსი რიგის სამიტზე, გაისად მაისში“, – განაცხადა რინკევიჩმა.

მოლდოვამ აპრილში მიიღო შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმი. ზონაში ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნიდან 22 შედის. მათთან ერთად შენგენის ზონის წევრები არიან ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია. (ნიუპოსტი)

### ვლადიმერ გურგენიძე უკრაინის მთავრობას კონსულტაციებს გაუწევს



საქართველოს ექსპრემიერი, ვლადიმერ გურგენიძე უკრაინის ხელისუფლებას რეფორმების გატარების საკითხში კონსულტაციას გაუწევს. ამის შესახებ უკრაინული გამოცემა „ura-inform.com“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბორის ლოჟკინმა განაცხადა. მისი თქმით, გურგენიძეს ბოლო კვირების განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდა და აღნიშნა, რომ გურგენიძეს საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნევს. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# პროფესორი ზურაბ გაგნიძე: „...გიგი თევზაძე გაქცეულია, მან დატოვა საქართველოს ტერიტორია“

**ნამდვილად დატოვა თუ არა ქვეყანა ილიას უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა გიგი თევზაძემ? რატომ სურთ უნივერსიტეტში დაცვის სისტემების გაუქმება? რატომ უნდა მოეხსნას სერგო რატიანს დეპუტატის უფლებამოსილება?**

**„ალიას“ ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ზურაბ გაგნიძე ესაუბრა:**

**— პირად საუბარში მითხარით გიგი თევზაძე საინტერესო ამბავს გეტყვითო და რა ხდება?**

– სანდო წყარომ მომაწოდა ინფორმაცია, რომ გიგი თევზაძე გაქცეულია, მან დატოვა საქართველოს ტერიტორია. ეს ამბავი გუშინ მითხრეს. თევზაძე კაი ხანია არ გამოჩენილა უნივერსიტეტში და საერთოდ არ ჩანს მისი არსებობა. გაქცევის მიზეზი, ჩემი აზრით, ისაა, რასაც ამდენი ხანია, ვლაპარაკობთ: რომ მას, მრავალი დანაშაული აქვს ჩადენილი განათლების სფეროში, არა მარტო ის, რომ განათლების სისტემა დაღუპა და გაანადგურა ლომაიასთან და სხვა პირებთან ერთად, არამედ მის დანაშაულებში შედის, აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრების მითვისების საკითხი.

**— კი, მაგრამ ორი წელი მისთვის ხელი არავის დაუდია და ახლა რა მოხდა?**

– ხელი რომ არ დაუდია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ განსაკუთრებული პიროვნებაა? ჩემი აზრით, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა პროკურატურას და ფიქრობდნენ, მას შემდეგ მოვუვლითო, მაგრამ თავად ხომ იცოდა, რა დანაშაულები ჰქონდა ჩადენილი?

**— რაც შეეხება მფარველს, თქვენი ამასწინანდელი სიტყვებით, არც მეტი არც ნაკლები, გიგი თევზაძეს თავად პრეზიდენტი მარგველაშვილი მფარველობდა და აღარ მფარველობს, მათ შორის რამე მოხდა?**

– არ არის გამორიცხული, რომ თავად მარგველაშვილმა, რომელიც გიგის კურსელია, უკარნახა, გაქცეულიყო. შეიძლება, უკრაინაშია წასული.

**— და უნივერსიტეტში რას ამბობენ, რატომ წავიდაო?**

– უნივერსიტეტში იციან მხოლოდ, რომ ეს ადამიანი არ ჩანს. შესაძლოა, ერთი-ორმა კაცმა იცის, მაგრამ მთლიანად პროფესურამ არ იცის, ეს ფაქტი, გახმაურდებოდა. არ არის გამორიცხული, პროკურატურიდან მიუვიდა ცნობა, რომ მისით დაინტერესდნენ და ეს კაცი გაქრა. შეიძლება, მართლაც, უკრაინაშია და გარკვეული პერიოდის შემდეგ რაღაც პოსტიც მისცენ. თუმცა, ოფიციალურად რომ მიეწვით, ასე გაქცევაც არ დასჭირდებოდა. პროკურატურას რაც შეეხება, კონკრეტულად რა ფაქტზე შეიძლება დაეწყო ძიება, ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ, ჩემი აზრით, მარტო აბასთუმნის სახელმწიფო ობსერვატორიის მითვისება არის დიდი დანაშაული და საკმარისია სისხლის სამართლის დანაშაულის მუხლით საქმის აღძვრისთვის. რაც ამ ადამიანს დანაშაულები აქვს ჩადენილი, ასეთი არავის გაუკეთებია ყოფილი ნაციონალებიდან, რაც მან შენობა-ნაგებობები მიითვისა და გაყიდა და რატომ არავინ გამოიკვლია აქამდე? ანდა, რატომ არ დადგა ადრევე მისი პასუხისმგებლობის საკითხი? მაგის გვერდით იდგა მისი მეგობარი და თანამებრძოლი რატიანი, მასთან ერთად აწერდა ხელს და მასთან ერთად იბრძოდა ქართული განათლების წინააღმდეგ და, ახლაც რომ ჰკითხოთ რამე, სერგო რატიანი ხელს დააფარებს თევზაძეს, არადა წლების მანძილზე მეორე პირი იყო რექტორის შემდეგ უნივერსიტეტში, ვიდრე დეპუტატი გახდებოდა და ყველაფერს ხელი ეწერებოდა რექტორისა და კანცლერის, თევზაძისა და რატიანის და ამიტომ, შემომაქვს წინადადება, რატიანს შეუჩერდეს დეპუტატობა და მისი საკითხიც გამოკვლეულ იქნეს. პროკურატურაა, ასევე სხვა საგამოძიებო ორგანოებია და სირცხვილია, რა გახდა ამათი საქმეების გამოძიება? მაგრამ სამართლის აღდგენა როგორც „ბუქსაობდა“, ისევ ისე „ბუქსაობს“ და ვერ ამოდის სიმართლე ჭაობიდან.

**— გარდა ამისა, კიდევ რა ინფორმაციებს ფლობთ?**

– გარდა მაგისა, ხომ გახსოვთ, მკვლელობა რომ მოხდა ილიას უნივერსიტეტში და ახალგაზრდა ქალი რომ ქმარმა მოკლა? ამ დროს უნივერსიტეტში ყველა წერტილში, ყველა ოთახში, დერეფანში და ყველა მონაკვეთზე ვიდეოთვალი აქვთ დამონტაჟებული. რატიანის ადგილზე რომ არის ახალი კანცლერი აფრასიძე, იმან განაცხადა, ეს ვიდეოთვალები გინდა, იყოს და გინდა არა, დაფიქსირება კი ხდება, მაგრამ მცველები ვერ დააკავებენ ბოროტგანმზრახველს და მოვხსნათ ეს კამერებიო.

**— რატომ დაიწყეს ამაზე ლაპარაკი?**

– რატომ და ამხელა სისტემა საკმაოდ ძვირი უჯდებათ და ეს სტუდენტების ფულია, ისევ მათ რომ მოახმარონ, რა იქნება? ეს საკითხი დღის წესრიგში იმიტომ დადგა, რომ თანხები აკლდებათ. ამ ერთი კვირის წინ რომ გავრცელდა ინფორმაცია, რვა უმაღლესმა სასწავლებელმა რომ მოაწერა ხელი წერილს, სადაც ილიაუნიცაა მონაწილე, ფინანსთა სამინისტრომ არ გადაგზავნოს თანხები ბიუჯეტში, რადგანაც ეს იქნება სიტუაციის ბიუროკრატიული მექანიზმით გართულებაო, ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი და სწორი ნაბიჯია გადადგმული სახელმწიფოს მიერ, რადგანაც უნდა მოხდეს თანხების გამჭვირვალობა. სტუდენტების ფულებს ეგენი ითვისებდნენ.

ან სანიკიძე რას აკეთებს, ხელს რომ უწყობს ამათ ქცევას? მის ადგილას შევქმნიდი სპეციალურ კომისიას, რომელიც გამოიკვლევდა წინა პერიოდში ჩადენილ უსამართლობებს, შაშკინის საქმეებს, გვარამიასი, ლომაიასა და ნოდიას საქმეებს, გამოვიკვლევდი, როგორ იხარჯებოდა თანხები უნივერსიტეტებში. რა, ცოტაა გამოსაკვლევი?

ფაქტების გადამოწმებას შევეცადეთ და დავუკავშირდით მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნათია სუხიტაშვილს, რომელსაც ვკითხეთ, აღძრულია თუ არა საქმე გიგი თევზაძის წინააღმდეგ და თუ ასეა, როდიდან? სუხიტაშვილი დაგვპირდა, საკითხს გავარკვევო, მაგრამ აღარც თავად შეგვხმიანებია და არც ჩვენს ზარს უპასუხა.

**ამის შემდეგ დავუკავშირდით სერგო რატიანს:**

– გაგნიძე? კომენტარი არ მაქვს.

**— ერთი წუთით, საუბარია იმაზე, რომ ამ პიროვნების ცნობით, ყოფილი რექტორი თევზაძე ქვეყნიდან არის გაქცეულიო.**

– რა სისულელეა. არ ვიცი...

**— საქართველოშია, თბილისშია თევზაძე?**

– არ ვიცი, რა ვიცი, სად არის?

**— თქვენ ხომ კონტაქტობთ და არ დაკავშირებიხართ?**

– არაა, მართლა არ ვიცი!

**— ბოლოს როდის ელაპარაკეთ?**

– რა მნიშვნელობა აქვს. კარგად ბრძანდებოდეთ.

**ანა კვანჭილაშვილი, ილიაუნის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი:**

– არ ვფლობ ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით ნამდვილად.

**— ბოლოს როდის ნახეთ გიგი თევზაძე?**

– არ მინახავს, ის ყოფილი რექტორია და... მოკლედ, არ მინახავს.

**ბოლოს მოვიპოვეთ თევზაძის ტელეფონი და ახლა უკვე მას დავურეკეთ პირადად:**

**— ჩვენ დაგვიკავშირდა თქვენი ერთ-ერთი პროფესორი და გვითხრა, რომ თქვენ საქართველო დატოვეთ.**

– რა ქნაო? მეე? არა!

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ანტიდისკრიმინაციული კანონის დარღვევის გამო იჩივლებენ




ხელვაჩაურის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ასლან კახიძე სასამართლოში იჩივლებს. საქმე თანამდებობიდან მის განთავისუფლებას ეხება.

გაზეთ „ბათუმელების“ ინფორმაციით, მოსარჩელე სასამართლოს ანტიდისკრიმინაციული კანონის დარღვევის გამო მიმართავს.

„წერილში პირდაპირ ეწერა, რომ ჩემი განთავისუფლების მოთხოვნის მიზეზი ოპოზიციაში გადასვლა გახდა, რაც დისკრიმინაციულია. არც ერთ კანონში არ წერია ის, რომ თავმჯდომარის ოპოზიციაში გადასვლა შესაძლოა, მისი განთავისუფლების მიზეზი გახდეს“, – განაცხადა ასლან კახიძემ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყოფილი თავმჯდომარის პარტიული ნიშნით განთავისუფლების გამო სარჩელს სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეიტანს.

„ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესებულია, შეისწავლოს ხელვაჩაურის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის საქმე და თუკი შევჯერდებით ერთიან პოზიციაზე, ვგეგმავთ, რომ გავასაჩივროთ საკრებულოს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულოს ჰქონდა უფლება, გაეთავისუფლებინა თავმჯდომარე თანამდებობიდან, მაგრამ დისკრიმინაციული იყო ჩანაწერი, როცა მას თანამდებობიდან ათავისუფლებენ იმის გამო, რომ ის არის „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, ხოლო „თავისუფალი დემოკრატები“ ახლა აღარ არის „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში. ვფიქრობ, ეს ფორმა, რაც წინ უძღოდა მის განთავისუფლებას, იყო დისკრიმინაციული და სწორედ ამ მიმართულებით ვგეგმავთ სასამართლოში საქმის წაღებას. ხელმძღვანელ თანამდებობაზე შეიძლება, იყოს ადამიანი, რომელსაც აქვს სხვა პარტიული კუთვნილება, მისი განთავისუფლება პოლიტიკური ნიშნით არასწორი და დაუშვებელია“, – განმარტა ორგანიზაციის იურისტმა ეკა ბოკუჩავამ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## გალის რაიონში 75 წლის მოხუცს თავს დაესხნენ




გალის რაიონის სოფელ ბარღებში შეიარაღებული პირები 75 წლის მოხუცს თავს დაესხნენ. მძარცველები ჯეირან დვალის ოჯახში იმ დროს შეცვივდნენ, როცა მოხუცი საკუთარ ეზოში იმყოფებოდა. ყაჩაღებმა ის დაიჭირეს და თავად შეიყვანეს სახლში. ოჯახიდან მათ მცირედი თანხა და სამკაულები წაიღეს. მოგვიანებით კი, მეტი თანხის გამოძალვის მიზნით, 75 წლის ჯეირან დვალი გაიტაცეს. დაახლოებით ერთ კილომეტრში გზად სოფლის მოსახლეობა შეხვდა, რომელიც საქონელს სახლისკენ მიერეკებოდა. მოხუცი წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა და მისთვის დახმარების გაწევის მიზნით ყვირილი მორთო. მოსახლეობამ ხმაური ატეხა, რის შემდეგაც ჯეირან დვალი ყაჩაღებმა ხელ-ფეხშეკრული გზად დატოვეს.

როგორც ადგილობრივმა თვითმხილველმა „ნიუპოსტის“ კორესპონდენტს განუცხადა, ის ტელეფონით შეეცადა დარეკვას და სამართალდამცავებისთვის შეტყობინებას, სწორედ ეს შეამჩნიეს თავდამსხმელებმა, მოხუცი დატოვეს და გაიქცნენ. (ნიუპოსტი)

## საქართველოში ღვიძლის გადანერგვის ურთულესი ოპერაცია ჩატარდა



პირველად საქართველოში ღვიძლის გადანერგვის ურთულესი ოპერაცია ჩატარდა. 20-საათიანი პროცედურა ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში მიმდინარეობდა.

27 წლის ბათუმელმა მამაკაცმა საკუთარი ღვიძლის ნაწილი ციროზით დაავადებულ 32 წლის დას მისცა.

დონორისა და რეციპიენტის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია. ისინი უკვე მოხსნილები არიან ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან და და-ძმას ერთმანეთთან პირველი გასაუბრების საშუალებაც მიეცათ.

ტრანსპლანტაციის ოპერაცია ქართველმა მედიკოსებმა ინდოეთის წამყვან ქირურგთან ერთად ჩაატარეს. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK






# რა დოკუმენტებს სთხოვს „საია“ პროკურატურას?

18 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე, სასამართლო სხდომა გაიმართება.

**„ალიას“ საიას იურისტი, სულხან სალაძეს ესაუბრა:**

**— ბატონო სულხან, რა სახის ინფორმაციას ითხოვთ?**

– ჩვენი მოთხოვნა იყო, ეცნობებინათ, იყო თუ არა გამოძიება ამ საკითხზე წელს იანვარსა და მარტში საყდრისი-ყაჩაღიანის დაზიანების თაობაზე და თუ დაწყებული იყო გამოძიება, რომელი მუხლით და იკვეთებოდა თუ არა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ ეტაპამდე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ გამოძიება დაწყებულია, მაგრამ უცნობია თარიღი. ვიცით, რომ არავის პასუხისმგებლობის საკითხი არაა გამოკვეთილი. გამოძიების დაწყების ვალდებულება პროკურატურას ჰქონდა მას შემდეგ, როგორც კი დანაშაულის შესახებ იყო შეტყობინება შესული და ამაზე დავა გრძელდებოდა. ამაზე გვექნება სასამართლო პროცესი.

**— რა წერია ამ დოკუმენტებში, რასაც ითხოვთ, რას გაძლევთ ეს მასალები თქვენ?**

– ამ დოკუმენტებში საუბარია იმაზე, სამართალდამცავებმა შეასრულეს თუ არა მათზე დაკისრებული მოვალეობა, თუ გამოძიება დროულად იქნებოდა დაწყებული და წარიმართებოდა ისე, როგორც ამის საჭიროებას საპროცესო კანონმდებლობა ადგენს, მაშინ რეალურად უნდა გაგვეგო ჩვენ, რატომ დაზიანდა საყდრისი-ყაჩაღიანი.

**— რატომ არ მოგცეს დოკუმენტები და რა საბაბით?**

– ეს არ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, პროკურატურამ უნდა გვითხრას, როდის დაიწყო გამოძიება და ვინ არ იძლევა ამ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, თავად პროკურატურა, კონკრეტული ჩინოვნიკი არ იქნება.

**— რას ელოდებით სხდომისგან?**

– პირველ რიგში, ჩვენ შევეცდებით, რომ ეს ინფორმაცია ამ სხდომის ფარგლებში მოვითხოვოთ და მივიღოთ მოპასუხე მხარისგან, თუ წინააღმდეგი იქნებიან, სასამართლოს ვთხოვთ, დააკმაყოფილონ ჩვენი სასარჩელო მოთხოვნა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თემქაზე ქალბატონი აბაზანაში მოკლული იპოვეს




თემქაზე, ე.წ. კადეტების დასახლებაში 50 წლამდე ასაკის ქალბატონი საკუთარი სახლის აბაზანაში მოკლული იპოვეს. მეზობლების ინფორმაციით, გარდაცვლილი თავის შვილთან ერთად ცხოვრობდა და 2 დღის განმავლობაში დაკარგული იყო. მათივე ინფორმაციით, ასევე რამდენიმე დღეა, არც მისი შვილი არ ჩანს. ქალბატონს აბაზანაში შვილის მეგობრებმა მიაკვლიეს და ამის შესახებ ძალოვან უწყებას აცნობეს. მას მრავლობითი ჭრილობები დანით აქვს მიყენებული, თუმცა, აქვთ დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ ქალს ცივი იარაღის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებიც აღენიშნება. მათი თქმით, ოჯახს სახლთან სათვალთვალო კამერა ჰქონდა დაყენებული და უცხოს კარს არ გაუღებდა.

ექსპერტ-კრიმინალისტებმა გარდაცვლილის სახლიდან უკვე ამოიღეს სათვალთვალო კამერა, რომელიც ნატო კვეზერელის ოჯახს უკვე დიდი ხანია დაყენებული აქვს. ერთ-ერთი ვერსიით, ამის მიზეზი, როგორც მეზობლები ამბობენ, ოჯახის ავტომობილის გაქურდვა იყო. შეინიშნებოდა თუ არა გარდაცვლილის სახლში ძარცვის კვალი, მეზობლები ამაზე ვერ საუბრობენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეკონომიურად საშუალო დონის ოჯახი იყო და ძვირადღირებული ავტომობილები ჰყავდათ.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ გარდაცვლილის ვაჟიც დაკარგულია, მეზობლების თქმით, ადგილზე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის ფოთში უცხოეთიდან გამოგზავნილი ავტომობილის დასახვედრად იყო წასული. თუმცა, როგორც ისინი აღნიშნავენ, შვილთან კონტაქტი ვერ ხერხდება. (ინტერპრესნიუსი; ნიუპოსტი)

## რუსთავის მერიიდან 16 პირი განთავისუფლდა



„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, რუსთავის მერიიდან 16 პირი პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლდა.

რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადებით, განთავისუფლებული თანამშრომლები მონაწილეობას ვერ მიიღებენ მერიის მიერ გამოცხადებულ ატესტაციის კონკურსში.

„ეს პროცესი ემთხვევა მერიაში გამოცხადებულ საატესტაციო კონკურსს. აღარ აქვთ საშუალება განთავისუფლებულ ადამიანებს, რომ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა. ეს დათხოვნა მოხდა იმისთვის, რომ დაასაქმონ საკუთარი აქტივისტები“, – განაცხადა კახა გურგენიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეკა ზღულაძე უკრაინის შს მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა



ინფორმაციას ზღულაძის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ მინისტრი სოციალური პოლიტიკის საკითხებში პაველ როზენკო სოციალურ ქსელში ავრცელებს.

„ეს-ესაა მინისტრთა კაბინეტმა ეკა ზღულაძე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა. ზღულაძემ თქვა, რომ ეს მისი გაცნობიერებული არჩევანია და არა ავანტიურა“. – დაწერა როზენკომ. (ნიუპოსტი)

## „განათლების სამინისტროში შსს-ს ე.წ. ოდეერი ჰყავდა ჩანერგილი“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განათლების სამინისტროში ე.წ. ოდეერის არსებობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

„ამჯერად ჩვენი ორგანიზაცია მოგაწვდით ინფორმაციას უშიშროების საკითხებში კიდევ ერთი ოფიცრის თამაზ რატიანიძის შესახებ.

2012 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, თამაზ რატიანიძე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის რეგიონალური მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. 2013 წლის დეკლარაციის მიხედვით, რომელიც რატიანიძემ 2013 წლის 21 თებერვალს, როგორც მოქმედმა თანამდებობის პირმა შეავსო, ის უკვე შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (მთავარი სამმართველო) სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, ირკვევა, რომ 2013 წლის 15 თებერვალს თამაზ რატიანიძე განათლების სამინისტროში შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა, ანუ პარალელურად ორ თანამდებობას იკავებდა, როგორც შინაგან საქმეთა, ასევე განათლების სამინისტროებში. 2014 წლის დეკლარაციის მიხედვით რატიანიძის შრომის ანაზღაურებამ შინაგან საქმეთა სამინისტროში – 13 258, ხოლო განათლების სამინისტროში 25 810 ლარი შეადგინა. თამაზ რატიანიძეს განათლების სამინისტროში 2013-2014 წლების პერიოდში მიღებული აქვს ასევე პრემია.

თამაზ რატიანიძე განათლების სამინისტროში თანამდებობას 2014 წლის 21 იანვრის ჩათვლით იკავებდა, რასაც მის მიერ როგორც სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, როგორც ყოფილი თანამდებობის პირის მიერ 2014 წელს შევსებული დეკლარაცია ადასტურებს. განათლების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი თამაზ რატიანიძე სამსახურის მისამართის გრაფაში უთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართს, კერძოდ თბილისი, ვაჟა ფშაველას 72, რომელიც მოდულის შენობის მისამართია“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „რაჭაში ელექტროსადგურის აშენება ტერიტორიის დატბორვას არ ითვალისწინებს“



ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე რაჭაში ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით განმარტებებს აკეთებს. როგორც მინისტრი განმარტავს, პროექტი არ ითვალისწინებს ტერიტორიის დატბორვას, მოსახლეობის გადასახლებას და ვაზის უნიკალური ჯიშებისთვის საფრთხის შექმნას.

„პროექტის ყველა ეტაპზე დაცული იყო საჯაროობა. საქართველოს მთავრობასა და თურქულ კომპანიას შორის დაიდო მემორანდუმი, რაც მოიცავს 18 თვის განმავლობაში პროექტის ეკოლოგიურ, ფინანსურ, სოციალურ და ტექნიკურ შესწავლას, მხოლოდ ამის შემდეგ, კანონის სრული დაცვით მოხდება პროექტის მიზანშეწონილობაზე საუბარი“, – განაცხადა კალაძემ.

მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს სრული ინფორმაცია მიაწოდოს. (ნიუპოსტი)

## კრემლში საჩუქრად „რუსეთის მტრების“ ბანქოს არიგებენ

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები საჩუქრის სახით ბანქოს არიგებენ, რომელზეც „რუსეთის მტრები“ არიან გამოსახულნი. ბანქოზე უკრაინელი, ამერიკელი და ქართველი პოლიტიკოსების შეურაცხმყოფელი შარჟებია დატანილი: უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო სისხლით სავსე ცისფერ-ყვითელ აბაზანაში, პრემიერ-მინისტრი იაცენიუკი, უმაღლესი რადას ექსსპიკერი ალექსანდრე ტურჩინოვი, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ჰიტლერის იმიჯით, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი. (ნიუპოსტი)

## დაკავებულ მსაჯებთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა



„ჩაწყობილი თამაშების“ საქმეზე ბრალდებულ მსაჯებთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა. პროკურორ ზვიად ფხაკაძის თქმით, ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის მიღწეული შეთანხმება არაერთგვაროვანია.

პროკურორის განმარტებით, ბრალდებულებს, რომელთა წინააღმდეგ ბრალი ერთი ეპიზოდით არის აღძრული, 9-თვიანი პატიმრობა, 3-წლიანი პირობითი მსჯავრი და 3-ათასლარიანი ჯარიმა განესაზღვრათ. ხოლო ორი პირის მიმართ, ვისაც ბრალი მხოლოდ ერთი ეპიზოდით არ აქვთ წარდგენილი, შეთანხმების პირობები უფრო მკაცრია, კერძოდ, პროკურორის განმარტებით, ბრალდებულ ოთარ ხეთაძის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობად განისაზღვრა 15 ათასი ლარი, ერთწლიანი თავისუფლების აღკვეთა და სამი წლით პირობითი მსჯავრი.

კიდევ ერთ ბრალდებულს, მამუკა ურუშაძეს 10 ათასი ლარი, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და სამწლიანი პირობითი მსჯავრი მიესაჯა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ბრალდებულს ორი წლით შეუჩერდა საქმიანობის უფლება.

შეგახსენებთ, რომ 8 მსაჯი 24 სექტემბერს დააკავეს. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ფეხმძიმე ნუნუკა თამაზაშვილის პირველი ფოტოები



ნუნუკა თამაზაშვილი თავს არიდებდა სახალხო თავყრილობებს და არც პრესასთან კონტაქტობდა.

დიპლომატიური კორპუსისთვის სადღესასწაულო მიღება გაიმართა, სადაც პრემიერთან ერთად მეუღლეც იმყოფებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალურ გვერდზე ამ შეხვედრის ამსახველი ფოტოები გამოქვეყნდა.



ფოტოებზე პრემიერ-მინისტრის მეუღლე არაჩვეულებრივად გამოიყურება და აშკარად ჩანს, რომ რამდენიმე თვეში წყვილის ოჯახს ახალი წევრი შეემატება.

*reitingi.ge*

## ანა მარგველაშვილის კომენტარი მის გათხოვებაზე

პრეზიდენტის ქალიშვილის გათხოვების შესახებ უამრავი სიახლე დაიწერა, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.




ჯერჯერობით უცნობია, გათხოვდა თუ არა ნამდვილად ანა მარგველაშვილი.

შესაძლოა, ეს პრეზიდენტის ქალიშვილისა და მისი მეგობრების ხუმრობაც იყოს.

ერთადერთი კომენტარი, რაც ამასთან დაკავშირებით ანა მარგველაშვილმა გააკეთა, ეს „ფეისბუკზე" დაწერილია პოსტია.

– ის რომ გავიგო, რომელმა ჩემმა მეგობარმა მიაწოდა ექსკლუზიური ინფორმაცია, ძალიან ცუდად დაგვიმთავრდება მეგობრობა)))), – წერს ანა მარგველაშვილი.

არსებული ინფორმაციით, პრეზიდენტის ქალიშვილის რჩეული მუსიკოს ლევან ჩიჩუას ძმა, გეგი ჩიჩუაა.

*newposts.ge*

## „აღშფოთებული ვარ ნაცისტი სტურუას საქციელით" – როგორ მოექცნენ „რუსთაველის თეატრში" ებრაელ სტუმრებს



ჟურნალისტი ნათია კობერიძე რუსთაველის თეატრში მომხდარი ფაქტის შესახებ წერს.

– ამაზრზენი ამბის მოწმე გავხდი! გუშინ (16 დეკემბერს) რუსთაველის თეატრში ებრაული ჰანუქა და ისრაელ-საქართველოს ურთიერთობის 25 წლისთავი აღინიშნა. ისრაელიდან და აშშ-დან მაგარი ხალხი ჩამოვიდა – ამჟამინდელი და ყოფილი მთავრობის წევრები, ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბიზნეს-პალატა, საელჩო. დარბაზში იყვნენ ჩვენი მთავრობის წევრებიც.



საღამო 10 სთ-ზე დასრულდა, ქართული მთავრობის წევრებმა მალე დატოვეს დარბაზი. ებრაელი სტუმრები რუსთაველის თეატრის ფოიეში შეყოვნდნენ. გარდერობის რიგში და საუბარში ნელ-ნელა ტოვებდნენ შენობას. კონცერტის დასრულებიდან, სულ რაღაც, 15 წუთში რუსთაველის თეატრის დაცვის უფროსი ვინმე მერაბი გამოვიდა და გამოაცხადა, „აბა, პატივცემულო სტუმრებო, როგორც მოსვლით გაგვახარეთ, ისე წასვლითაც გვეცით პატივიო"

გადავირიეთ მე და კობა სუბელიანი. ჯერ წყნარად და მერე ჩხუბით მოვთხოვეთ, შეეწყვიტა ეს სამარცხვინო მოწოდება. რობიკოს მერაბა არ გაჩერდა და სტუმრების, მათ შორის ისრაელიდან! თვალწინ შუქების გამორთვა დაიწყო და აგრძელებდა ხმამაღალ მოწოდებას, რომ ასეთია თეატრის შენაგანაწესი.

ეს იყო აშკარა ზიზღნარევი ქმედება, მიმართული იქ შეკრებილი ადამიანებისადმი!

აღშფოთებული ვარ ნაცისტი რობერტ სტურუასა და მისი ქვემძრომების უღირსი საქციელით. სტურუას გადაყენება კი არა, ასეთი გველის ბუდეს შექმნისთვის საერთოდ თეატრთან მიკარების უფლებას არ მივცემდი!, – წერს კობერიძე.

*newposts.ge*

## ციცინო შურღაია: „ცხოვრებისგან გაბოროტებული ჰომოსექსუალი ირაკლი ლომაია ოპერაციის გაკეთებას მთხოვდა"



ახალი დაპირისპირება სოციალურ ქსელში – ამჯერად პარაფსიქოლოგი ირაკლი ლომაია პლასტიკურ ქირურგ ციცინო შურღაიას დაუპირისპირდა. თემა მარიამ რონინიშვილის პირად „ფეისბუკზე" აგორდა. ციცინომ მარიამს რჩევა მისცა, ირაკლის ლაპარაკს ყურადღება არ მიაქციო, ერთ ყურში შეუშვი, მეორეში გაუშვიო. რჩევას ირაკლი ლომაიას პოსტი მოჰყვა.

**ირაკლი ლომაია:**

– ციცინო შურღაია რომ ლანძღვას დაგიწყებს ვაი, ვაი, ვაი... შენ რანაირი ექიმი ხარ, ქალო, ისიც კი არ იცი, გაზზარული ნეკნების დროს რა პათოლოგიური სინდრომებია რეალურად მოსალოდნელი. ასეთი ადამიანი გამოდიხარ და თურმე ჩემს პროფესიონალიზმში ეჭვიც კი გეპარება? ხო რას ამბობ მთლად ისეთ ჩლუნგებს ნიშნავენ კანადის ემერჯენსებში, როგორც თურმე მე ვარ არა? შე მართლა საბჭოთა კავშირში ჩარჩენილო ვირთხავ შენა, პუტინის მონავ... შენი სალანძღი რა მჭირს? უბრალოდ აღიარე, რომ ბოღმა და ბოროტი ხარ... ისიც კი გშურს, დაბერდი ქალი თავდაღმა და შენი სახელი რუსეთს ვერ გასცდა. მაინცდამაინც ჩემი ლანძღვა გინდა, ნუ მიედ-მოედები, არამედ იმ ბოღმიდან დაიწყე, რისთვისაც რეალურად გსურს რომ მლანძღო – რომელიც გულში ჩაიდე ჯერ კიდევ მაშინ, როცა აქ დამატება გამომიგზავნე და იმ დიალოგების მერე, რაც ჩვენ გვქონდა.

**ციცინო შურღაია:**

– დაბალი დონის ადამიანია, „კალხოზნაია უტრა", ღირს პასუხი გავცე? ეს არის ცხოვრებისგან გამობოროტებული ჰომოსექსუალი. როგორც ყველა ჰომოსექსუალი, ქალივით ლამაზი რომ გამხდარიყო, ეგეც მთხოვდა ოპერაციების გაკეთებას. კანადაში მირეკავდა. ახლა დაუწერია, ციცინომ ჩემს კლინიკაში სამსახურის დაწყება მთხოვაო და ჩემა უფროსს არ მოეწონაო. ჩემი შვილი ტორონტოში ცხოვრობს. ეგ საცოდავი კანადის უკანა ნაწილშია და საგიჟეთში მუშაობს. პარაფსიქოლოგი, აბა, რა კლინიკაში იმუშავებს?! საგიჟეა, ალბათ, ხო?! მე რატომ უნდა მეთხოვა მისთვის სამსახური? მე, რომელსაც ლოს-ანჯელესში მიწვევა მაქვს, ემირატებში ახლა მიმდინარეობს ჩემი ლიცენზიის დამტკიცება, რა მინდა კანადაში, როცა ნახევარი ტორონტოსთვის ოპერაცია მაქვს გაკეთებული და მეორე ნახევარი დამრჩა? ტორონტოში ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელს ოპერაცია გავუკეთე და ჩემთან იმუშავეო, ის მეუბნებოდა. მთელი მსოფლიო აქეთ მოდის ჩემთან. ამ წუთას პარიზიდან და ლოს-ანჯელესიდან მყავს პაციენტი.

*primetimenews.ge*

## ჭაღები, ფიფქები... უგულავამ დაგიტოვათ, თქვენ გადამწვარი ნათურები უნდა გამოცვალოთ – ჟორჟოლიანი ნარმანიას



ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი თბილისის მერს „ფეისბუკის" გვერდის საშუალებით მიმართავს და დავით ნარმანიას წინამორბედის მიერ დანატოვარ საახალწლო ჭაღებზე ნათურების გამოცვლასა და რუსთაველზე გასეირნებას ურჩევს.

„ბატონო მერო, კი არ მოგწონდათ ეს განათება და აკრიტიკებდით და კი დაკიდეთ, ხომ გახსოვთ, ჭაღებიც უგულავამ დაგიტოვათ, განათებებიც, ნაძვის ხეც, ის ანგელოზებიც და ფიფქებიც. თქვენ უბრალოდ ის გადამწვარი ნათურები უნდა გამოცვალოთ, რუსთაველს რომ აბნელებს:) და თვეში ერთხელ უნდა გაისეირნოთ რუსთაველზე. თქვენ ხომ ამ ქალაქის მერი ხართ.

წერილს გწერთ იმ ყველაზე მაგარი მერის მეგობარი, რომელიც თქვენი გამარჯვებისთვის დააჭერინეთ", – წერს ჟორჟოლიანი.

*newposts.ge*

## ნინასა და მამულიჩას თამამი ფოტო და აღელვებული ვახტანგ რჩეულიშვილი



„ქართველი „ფეისები" პრესის ყურადღების მისაქცევად უკვე მეგობრების ქმრებზეც „ნადირობენ", – ვკითხულობთ სოციალურ ქსელში.

ნინამ და მამულიჩამ საიტებისა და საზოგადოების გამხიარულება თამამი ფოტოებით გადაწყვიტეს. my boyfriend – ვკითხულობთ ფოტოზე წარწერას.

ამ სათაურს „ფეისბუკელ" მეგობართა აჟიტირება, „ლელა სად არის, გადარეულებო"? და მამულიჩას სიტყვები მოჰყვა, – „გაგრძელება აღარ დადო".

ნინასა და მამულიჩას ფოტომ ვახტანგ რჩეულიშვილიც აალელვა – „მოგწონთ თქვენი საქციელი"? – წერს პოლიტიკოსი...

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## რა უარყოფითი და დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ეროტიკული ფილმების ყურებას?



მაინც, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ეროტიკული ფილმების ყურებას ადამიანის ფსიქიკისთვის? ოღონდ, პირველ რიგში, იმაზე შევთანხმდეთ, რომ საუბარი ეხება არა პორნოგრაფიას, რომელიც, როგორც წესი, სექსუალური აქტის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე აკეთებს აქცენტს და ხშირად, ამაზრზენ სცენებსაც გვთავაზობს, არამედ ეროტიკას, სადაც ყურადღება ნაკლებ გარყვნილებაზეა გამახვილებული.

მაშ ასე, მაინც რატომ სარგებლობს ეროტიკული ფილმების ჟანრი ასეთი პოპულარობით? რატომ უყვარს ძალიან ბევრ ადამიანს მისი ყურება? ფსიქოლოგები განმარტავენ:

– პირველ რიგში, ყველაზე გავრცელებული მიზეზი ის გახლავთ, რომ ადამიანებს აქვთ იმის ცხოველი ინტერესი, როგორ ცხოვრობენ ერთად მისთვის უცნობი წყვილები.

– ადამიანს რაღაც არ აკმაყოფილებს რეალურ ინტიმურ ცხოვრებაში: პარტნიორი ვერ ანიჭებს იმ შეგრძნებებს, რომელიც თავად სურს, უარს ეუბნება თამამ ექსპერიმენტებზე და ასე შემდეგ.

– არ არის გამორიცხული, ეროტიკული ფილმებით გატაცება კონკრეტული ადამიანების კომპლექსებით იყოს განპირობებული, რაც მას პარტნიორის შოვნაში უშლის ხელს.

– ვიღაცას სურს, რომ ამით აკრძალული ხილი იგემოს.

– რაც შეეხებათ მოზარდებს, ისინი იკლავენ ჟინს, ინტერესს და ცდილობენ, ეროტიკული ფილმებიდან რაღაც-რაღაცები ისწავლონ...

ახლა ისიც გავიგოთ, რა დადებითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ეროტიკული ჟანრის ფილმებს. ფსიქოლოგების აზრით:

– ფილმებმა შესაძლოა, სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კომპლექსებით გატანჯული ადამიანი გონზე მოიყვანოს.

– ამ გზით, ადამიანების უმრავლესობას ყოველდღიურ ცხოვრებაში არარსებული შეგრძნებების შევსება შეუძლია.



– ეროტიკული ფილმების დახმარებით, ბევრი ფსიქიკური გადახრა შვებას მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში ჰპოვებს და საკუთარ გარყვნილებას რეალურ ცხოვრებაში აღარ გამოხატავს...

ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუკი გეტყვით, რომ ეროტიკული ფილმების ყურებას ნეგატიური შედეგი უფრო მეტი მოსდევს, ვიდრე პოზიტიური. მაგალითად:

– ეროტიკულ ფილმებს მოსდევს არა მხოლოდ ზრდასრული ადამიანების აღგზნება, არამედ შესაბამის რეაქციას მოზარდებიც ავლენენ, რაც ხშირად მასტურბაციით სრულდება. ეს „საქმიანობა" რომ დადებით შედეგს ვერაფრით იძლევა, უამრავი კვლევის შედეგადაა დამტკიცებული.

– არცთუ იშვიათად, ეროტიკულ ფილმებში გადმოცემულია სექსი სიყვარულის გარეშე. ეს კი ადამიანებს ანალოგიური ნაბიჯისკენ უბიძგებს, რაც ხშირად, შეყვარებულების, საცოლეების, საქმროებისა და მეუღლეების ღალატით სრულდება.

– ბევრ ფილმში შეხვდებით არაადეკვატურ ფაქტებს, უკანონობას, რაც ასევე ილექება ადამიანის, განსაკუთრებით კი, მოზარდის გონებაზე.

– ზოგიერთ სცენაში ქალები მამაკაცების მონების როლებს ასრულებენ ან დაკისრებული აქვთ ძლიერი სქესისთვის მხოლოდ სექსუალური ჟინის დამკმაყოფილებლის ფუნქცია, რასაც შეუძლია მოზარდს აფიქრებინოს, რომ ქალებს ის მოსწონთ, როცა მათ უხეშად ექცევიან და ექსპლოატაციას უწევენ. ასეთი აზრით შეპყრობილ ადამიანთან ურთიერთობა კი აუცილებლად კრახით დასრულდება.

***bbc.co.uk***

## პილოტებს ნაკლები შანსი აქვთ სწორად გაიგონ გაფრთხილება, თუკი ის ქალის ხმითაა წარმოთქმული



ფრენის დროს პილოტთან სუფთა და გამართული კავშირის დამყარება უსაზღვროდ მნიშვნელოვანია და ამაზე, ალბათ, არც არავინ დაობს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხსაც კი წყვეტს როგორც თავად პილოტისთვის, ისე, რა თქმა უნდა, მგზავრებისთვისაც.

მკვლევარებმა გადაწყვიტეს, დაედგინათ, მოქმედებს თუ არა პილოტისთვის მიცემულ მითითებაზე კავშირზე გასული ადამიანის სქესი და ინტონაცია.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა ძლიერი და მონოტონური ინტონაციები, ასევე, ჩურჩული როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში.

აღმოჩნდა, რომ ძლიერი და მონოტონური ხმით წარმოთქმულ შეტყობინებებს პილოტის მხრიდან სწრაფი პასუხები მოჰყვება, მიუხედავად მოსაუბრის სქესისა. ამის მიუხედავად, პილოტები ბევრად სწრაფად რეაგირებდნენ მამაკაცის ხმებზე და რთულ სიტუაციებშიც სწორ გადაწყვეტილებებს ბევრად დროულად იღებდნენ, ვიდრე ეს ქალის ხმის გაგონებისას ხდებოდა.

***ukr.net***

## ჩინური „მერვე საოცრება" სულ მალე მორიგ „ქალაქ-მოჩვენებად" გადაიქცევა



იყო დრო, როცა ამ ხელოვნურ კუნძულს არაერთი შესანიშნავი სტატუსი ჰქონდა. მაგალითად, „სამოთხე დედამიწაზე", „მსოფლიოს მერვე საოცრება" და ასე შემდეგ, ოფიციალურად კი ფენიქსს უწოდებდნენ. კუნძულის გაშენებას უზარმაზარი თანხები დასჭირდა, აიგო ულამაზესი ცათამბჯენები, დიდი შრომა ჩაიდო პარკების გახსნაზე, ამუშავდა უამრავი მაღაზია, სპორტული მოედნები. მოკლედ, კომფორტული ცხოვრებისთვის ფენიქსზე აბსოლუტურად ყველანაირი პირობა გახლდათ შექმნილი.

პროექტის დასაწყისშივე არაოფიციალურად მას „მერვე საოცრება" ეწოდა და უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე ამბიციურ პროექტადაც დასახელდა. 2010 წელს უძრავ ქონებაზე მართლაც გასაოცარი ფასები იყო დაწესებული: 1 კვადრატული ფუტი (1 ფუტი=0,30 მეტრს) 2200 აშშ დოლარი ღირდა და მიუხედავად ამისა, საცხოვრებელი ფართები უმოკლეს ვადებში გაიყიდა.



დღეს უკვე ფენიქსზე 1 კვადრატული ფუტი 1200 აშშ დოლარი ღირს, თუმცა კუნძულზე სახლებს აღარ ყიდულობენ. მეტიც, იქ თითქმის აღარავინ ცხოვრობს, გარდა მომსახურე პერსონალისა.

სპეციალისტების შეფასებით, შესაძლოა, ამ უსიამოვნების მიზეზი ის იყოს, რომ „სამოთხე დედამიწაზე" მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანებმა ჩინეთის არცთუ დაბალანსებული ეკონომიკის გამო აითვალწუნეს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ სულ მალე ფენიქსი მორიგი „ქალაქი მოჩვენება" გახდება და იქ აღარავინ იცხოვრებს.

***mainfun.ru***

## კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერი ქარბუქის დროს 4 ათასი ადამიანი დაიღუპა



როგორი ლამაზი და მომნუსხველიცაა ბუნება, ზოგჯერ, იმდენად დაუნდობელი და სასტიკია – ქარბუქმა, რომელიც 1972 წელს ირანში მთელი კვირის მანძილზე არ შეჩერებულა, 4 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მთელი ამ დროის განმავლობაში ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში თოვლის საფარის სისქე 3 მეტრს აღწევდა, სამხრეთით კი - თითქმის 8 მეტრს.

ორი სოფლის: კაკანისა და კუმარის მოსახლეობიდან საერთოდ ვერავინ გადარჩა, ხოლო სოფელ შეკლაბში 100-მდე ადამიანი დაიღუპა.

კაცობრიობის ისტორიაში ირანის ქარბუქს დღემდე ყველაზე ძლიერსა და სასიკვდილოდ საშიშს უწოდებენ.

სპეციალისტების განმარტებით, ასეთი კატასტროფული შედეგების მიზეზი ის გახდა, რომ ახლო აღმოსავლეთის მკვიდრები თოვლისთვის საერთოდ არ იყვნენ მზად. მოგეხსენებათ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი ნაწილი ზომიერი კლიმატის ზონაში მდებარეობს, სადაც თეორიულად თოვლი შეიძლება მოვიდეს, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება.

***factroom.ru***

## „ტიტანიკში" დი კაპრიოს მსგავსი ვარცხნილობის გადაღება ათასობით ავღანელი მამაკაცის პატიმრობით დასრულდა



შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა რიგითი ადამიანები ცნობილებს ბაძავენ, იქნებიან ისინი მოდელები, პოლიტიკოსები თუ მსახიობები.

ასე მოხდა ეკრანებზე „ტიტანიკის" გამოსვლის შემთხვევაშიც: ძალიან ბევრ მამაკაცს სურდა, ფილმის მთავარ გმირს დამსგავსებოდა, რომელსაც როგორც თავადაც მოგეხსენებათ, ლეონარდო დი კაპრიო ასახიერებდა.

„თალიბების" მმართველობის დროს, როცა საკმაოდ მკაცრი კანონები და აკრძალვები მოქმედებდა, „ტიტანიკი" ავღანეთში მსოფლიო პრემიერიდან მხოლოდ 3 წლის გასვლის შემდეგ აჩვენეს. დაგვიანების მიუხედავად, ფილმმა მაინც უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა. მეტიც, მაყურებელზე მან იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, როგორც ამბობენ, საპარიკმახეროებთან მამაკაცების დიდი რიგები დადგა, რომელთაც სურდათ, დი კაპრიოს მსგავსი ვარცხნილობა ჰქონოდათ. თალიბთა მთავრობას, რომლის მიზანიც იდეალური ისლამისტური სახელმწიფოს აშენება იყო, ეს ფაქტი საშინლად არ მოეწონა. შედეგად, რელიგიურმა პოლიციამ ათასობით მამაკაცი დააპატიმრა, როგორც პარიკმახერები, ისე მათი კლიენტები. საბოლოო ჯამში, სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ არათუ დი კაპრიოს მიბაძვის, ადგილობრივებს საერთოდ საპარიკმახეროსკენ გახედვის სურვილიც კი დაეკარგათ.

***smartbooka.net***



ქერა გოგონა დაქალებთან წუწუნებს:

– ქმარმა სასტიკად გამაფრთხილა, საჭესთან დაჯდომის უფლებას მანამ არ მოგცემ, სანამ მოტოციკლისტების დამარხვას არ ისწავლიო...

*****

ქალთა ბატალიონის მეთაური ბრძოლის წინ მეომრების გამხნევებასა და წაქეზებას ცდილობს:

– თქვენ წინ ახლა ვერაგი მტერი დგას! ხომ ყველა ხედავთ? ჰოდა, მტერი ამბობს, რომ ჩვენ, ყველას, ფორმა ძალიან გვასუქებს!!! (მეთაური ლაპარაკს უკვე სირბილით აგრძელებს) მოიცადეთ - ტყვეები არ დახვრიტოთ!!!

*****

– ღმერთო! ბევრს ხომ არაფერს გთხოვ, არა? სიკვდილს გთხოვ, მხოლოდ სიკვდილს და თანაც ჩემთვის კი არა...

*****

რესტორანში:

– ოფიციანტო, ყავა შეიძლება?

– გადამრევს ეს ხალხი - მე საიდან უნდა ვიცოდე, კაცო, ექიმი ვარ?!

*****



კრიტიკოსი რეჟისორს:

– გუშინ თქვენი ახალი სპექტაკლის პრემიერაზე ვიყავი და მთელი ღამე დაძინება ველარ მოვახერხე...

– ასე ძალიან მოგეწონათ?!

– არა - თეატრში გამოვიძინე...

*****

– ჩემი ცოლი ისეთი სულელია - დაბადების დღეზე სამაჯური ვაჩუქე, ვითომ ოქროსი, არადა, ბოშებისგან ვიყიდე. მერე ქურქი ვაჩუქე, ჩინური და ვუთხარი, ნამდვილი და ნატურალურიამეთქი. ახლა ფეხმძიმედაა, ვაჟს ველოდებით...

– შენგან თუ შური იძია?

*****

– ბენზინგასამართ სადგურთან რომ მაღაზიაა, კაცი შემოვიდა, მზესუმზირა იყიდა, შვებით ამოისუნთქა და ჩაილაპარაკა:

– მორჩა - ახლა მანქანაში სიჩუმე დაისადგურებს!!!

*****

ექიმისგან სახლში დაბრუნებული ქმარი საშინლად განერვიულებულია. ცოლი ეკითხება:

– რა მოხდა?

– ექიმმა აბები მომცა და მითხა, რომ მთელი ცხოვრება უნდა ვსვა.

– მერე მაგის გამო ნერვიულობ?

– ჰო, მაგრამ მხოლოდ 7 აბი მომცა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

**ალია**




1. შექსპირის ტრაგედია
2. კონან დოილი „... ძაღლი“
3. დღესასწაული ესპანეთში
4. იაპონური ჯუჯა ხე
5. ბელადი ბენიტო ...
6. გადასახვევი რბილი ქსოვილი
7. ... ფოიხტვანგერი
8. ქართული მინერალ. წყალი
9. კავშირებითი სიტყვა
10. შემწვარი კვერცხი
11. მოზაიკის მერამიკის ნატეხი
12. ოჯახი, ანუ ...
13. პოეტი ... გრანელი
14. ბრონტე. „ჯეინ ...“
15. კოსმოსური კვლევის ცენტრი აშშ-ში
16. სპორტ. ინვენტარ. ფირმა
17. ტკბილი კარტოფილი
18. საუბარი, ანუ ...
19. ხმლის ტარი
20. მწერალი ლევან ...
21. სირაქლემას სახეობა
22. შხამიანი ბაყაყი
23. ბრაზილიელი ფეხბურთელი
24. მსახიობი ... ჩურიკოვა
25. მხ/ფ „ქალაქი ...“
26. გამხმარი ხილი
27. ციტრუსი
28. სამეჯლისო ცეკვა
29. დროის საზომი მექანიზმი
30. კომპოზიტორი ... კალმანი
31. ხმადაბალი ლაპარაკი
32. აჭარული ცეკვა
33. დაღესტნური სოფელი
34. კარლო კოლოდის ხის ბიჭუნა
35. მწარმოებელი ცხვარი
36. რეჟისორი ... რიჩი
37. მდინარე დას. საქართ.
38. მოგზაურობა გემით
39. საკერავი მანქანის ფირმა
40. ნიშნავს ცივს
41. პოეტი ნიკოლოზ ...
42. მომღერალი რაფაელა ...
43. რეჟისორი ჯონ ...
44. ქათმების დასაჯდომი ძელი
45. წყალქვეშა გემი, ანუ ...
46. ნინგის სახეობა
47. სახლის გადასახურავი ბალახი
48. ისრაელის ფულის ერთეული
49. მოჭადრაკე ემანუილ ...
50. სამეჯლისო ცეკვა
51. მსახიობი ვასო ...
52. დასაქირავებელი ავტომობილი
53. წყალსაცავი აზერბაიჯანში
54. შურისძიება სიცილიურად
55. არაკი
56. გაუტკივარება
57. მდინარე ინდოეთში
58. მსახიობი ვახტანგ ...
59. ქიმიური ინდიკატორი
60. „ნირვანა“ კურტ ...
61. ნიშნავს საწინააღმდეგოს
62. ნაცია
63. ჯონათან სვიფტის ჯუჯა
64. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
65. ხუთიანი ნარდში
66. ზომიერად ნელი ტემპი მუსიკაში
67. ქალაქი ლატვიაში
68. მუსიკოსი ... გილელსი
69. რუმინეთის დედაქალაქი
70. ვაჭრობის თეორია
71. ქალაქი მდინარე ვოლგის დელტაში
72. მსახიობი ... რიოსი
73. კუნძული ნიუ-იორკში
74. ... არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი
75. მდინარე კახეთში
76. მარცვლოვანი მცენარე
77. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
78. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
79. ნადუღის სანელებელი
80. მწერი
81. მხ/ფ „ქეთო და ...“
82. სინთეზური ქსოვილი
83. მომღერალი ... მჟავია
84. გიგანტური ტალღა
85. სირიის დედაქალაქი
86. პორტი საფრანგეთში
87. სამშენებლო მასალა
88. მდინარე გერმანიაში
89. მეკარე ... იაშინი
90. მაჟორი და ...
91. ვენესუელის დედაქალაქი
92. ჯამუში ქალი ... პარი
93. მსახიობი ... კილმერი
94. მისი დედაქალაქია მანილა
95. იაპონური ჭიდაობა
96. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
97. მხატვარი დიეგო ...
98. თავის ტკივილი
99. მსაჯი
100. ძველებური ფირსაკრავი
101. რეჟისორი გას ... სენტი
102. ის, ვინც ლექსებს წერს
103. ქართ. ანბანის ბოლო ასო
104. თვალის ბუდე
105. ლითონის საგანი ცხენის ფლოქვზე
106. ზღვაოსანი ჯეიმს ...
107. სია, ანუ ...
108. თეთრი თიხის კერამიკა
109. ამერიკელების მეტსახელი
110. ჩუქურთმა
111. კათოლიკური საგალობელი
112. სინთეზური ბოჭკო
113. „... და შვიდი ჯუჯა“
114. მოხარშული ზეთი
115. ბავშვის საკვები
116. ტურგენევის მოთხრობა
117. მწნილი
118. მერიმე „... ფალკონე“
119. ფუტკრების სახლი
120. წყლის შინაური ფრინველი
121. მსახიობი მარინა ...
122. ლორების ჯოგი
123. არწივის ბრჭყალი
124. მსახიობი ... ხვიჩია
125. მომღერალი ... გეგელია
126. „წითელი“ პლანეტა
127. ... კუზანოვი
128. ქალის შიდა სამოსი
129. მსახიობი ... ფიორენტინო
130. ნიშნავს ახალს
131. მწერალი სომერსეტ ...
132. მსახიობი ლეო ...
133. მსახიობი ჯიმ ...
134. მსახიობი ... ჰათაუეი
135. მსახიობი ... კემპბელი
136. მსახიობი ... ჟირარდო
137. გოგოლის მოთხრობა
138. მსახიობი კამერონ ...
139. მოდების ჩვენება
140. კომპოზიტორი ... კვერნაძე
141. მხარე გერმანიაში
142. „კაცია ...!“
143. მეიგავე ... კრილოვი

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## თამბაქო — წამალი კიბოს წინააღმდეგ?



მართალია, სიგარეტის მოწევა კიბოს გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, მაგრამ თამბაქოს ფურცლების გამოყენება სულ სხვა მიზნებისთვისაც ყოფილა შესაძლებელი.

როგორც ირკვევა, ამერიკელმა მეცნიერებმა თამბაქოს ფოთლები სწორედ კიბოს დასამარცხებლად გამოიყენეს და თქვენ წარმოიდგინეთ, კვლევამ აჩვენა, რომ ეს მცენარე დადებით შედეგებს იძლევა.

კერძოდ, თამბაქოს ფოთოლი, როგორც ანტისხეულები, ლიმფომის წინააღმდეგ გამოიყენეს — ისინი ადვილად აღწევენ პაციენტის იმუნურ სისტემაში და დაავადებულ უჯრედებს განვითარების საშუალებას უსპობენ.

ამ დროისთვის მეცნიერები თამბაქოს ფოთლების ეფექტურობას ლაბორატორიულ თაგვებზე ცდიან და სასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში, მის ფართოდ გამოყენებასაც დაიწყებენ.

**myjane.ru**

## ახლად შექმნილი აბი მსოფლიოში სიმსუქნის ეპიდემიას შეაჩერებს



მთელი მსოფლიოსთვის გაუსროლია ავრორას, ხედავთ?! არა, ავრორა იქით იყოს და მართლა გადასარევი ამბავია, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე არ მამაძაღლობს!

როგორც ირკვევა, დიდ ბრიტანეთში პრეპარატი შეუქმნიათ, რომელიც ჭარბი წონის პრობლემებს ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებს.

იქაური მედიის ინფორმაციით, პრეპარატს შეუძლია, სასარგებლო და მავნე პროდუქტების ერთმანეთისგან განსხვავება და ამ უკანასკნელის მიმართ ადამიანის მიდრეკილების შეჩერება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვინც ბრიტანელების წამალს დალევს, არაჯანსაღი საკვებისკენ წესით, აღარ უნდა გაიხედოს.

იმასაც ამბობენ, რომ აბების მიღება მადაზე უარყოფითად სულაც არ მოქმედებს, არ იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემებს. უბრალოდ, მისი დახმარებით, ადამიანისთვის სასარგებლო საკვები ბევრად მიმზიდველი, არაჯანსაღი კი უგემური ხდება.

პრეპარატის სახელწოდება, ასევე ისიც, როდის გამოჩნდება ბაზარზე, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

**myjane.ru**

## ჭურჭლის რეცხვამ შესაძლოა... დამბლა გამოიწვიოს



სამი დიასახლისი ზის და ერთმანეთს ეტრაბახება:

პირველი: ამას წინათ კარტოფილს ვთლიდი და თითი გავიჭერი. დავუწყე ქმარს ჩხუბი. წავიდა და დაიკარგა. ერთი დღე ვერ ვხედავდი, არ ვიცი, სად იყო, მეორე დღეს კი გავიხედე და სამზარეულოს კომბაინი მომართვა.

მეორე: რამდენიმე დღის წინ სარეცხი გავრეცხე და მანიკური სულ გამეცალა. რა უნდა მექნა და ავდექი და ქმარს მაგრად ვეჩხუბე. ისიც დაიკარგა, ერთი დღე ვერ ვხედავდი, მეორე დღე ვერ ვხედავდი, მესამე დღეს კი სარეცხი მანქანა მიყიდა.

მესამე: სახლს ვალაგებდი და საშინლად დავიღალე. მეც ვეჩხუბე ქმარს. ერთი დღე ვერ ვხედავდი, მეორე დღეს ვერ ვხედავდი, ვერც მესამე დღეს დავინახე, მეოთხე დღეს ცალ თვალზე სილურჯემ გამიარა და კი დავინახე...

ხუმრობა იქით იყოს და დიასახლისებს მართლაც სჭირდებათ სამზარეულოს კომბაინიც, სარეცხი მანქანაც და ზედ გადაყოლაც. ბოლოს და ბოლოს, მათი ჯანმრთელობა დევს სასწორზე და იმიტომ!

ექიმების თქმით, საფრთხე სარეცხ ღრუბელში იმალება, რომელშიც უდიდესი რაოდენობის ბაქტერიები იმალება.

კვლევა აღნიშნულ საკითხზე ამერიკელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს და აი, რა დაადგინეს: ღრუბლის ზედაპირი 200-ჯერ მეტ მავნე მიკროორგანიზმებს შეიცავს, ვიდრე უნიტაზის თავსახური.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ზოგიერთ მიკროორგანიზმს გიიენ-ბარეს სინდრომის გამოწვევა შეუძლია — აუტოიმუნური ანთებითი დაავადება, რომელსაც სიცოცხლესთან შეუთავსებელი გართულებები მოჰყვება.

**myjane.ru**

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**18 დეკემბერი:** დღეს დრო საკმაოდ გექნებათ, მაგრამ შინაარსიანად როგორ გაატაროთ, მოფიქრება გაგიჭირდებათ. რჩევა იკითხეთ და სიურპრიზებს ელოდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**18 დეკემბერი:** კარგია, როცა იმის გაკეთება შეგიძლია, რაც გსურს, მაგრამ ეს მალე გბეზრდება. ენერგია რომელიმე ახლობლის საქმის კეთებაზე მიმართეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**18 დეკემბერი:** იმის გათვალისწინებით, ფულის გამომუშავებას აპირებთ თუ ხარჯვას, დღეს საპირისპიროდ უნდა მოიქცეთ. მოგებული დარჩებით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**18 დეკემბერი:** ძალიან მოუთმენელი იქნებით, რაც უამრავ კითხვას გამოიწვევს. შეეცადეთ, თქვენი ასეთი ემოციური მდგომარეობა შენიღბოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**18 დეკემბერი:** სხვადასხვა იდეებში გაუაზრებლად ფულის ხარჯვა დიდ დანაკარგებამდე მიგიყვანთ. როცა საქმე ფინანსებს ეხება, მეტი დაფიქრება გმართებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**18 დეკემბერი:** შეიძლება ბევრი რამ გინდათ და თანაც ერთბაშად. ურიგო არ იქნება, თქვენს ამბიციებს დროებით მაინც თუ მოთოკავთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**18 დეკემბერი:** ეს დღე იმ ადამიანთან ერთად დაიწყეთ, ვისთან ყოფნაც გსიამოვნებთ. საუბარში გაჩნდება იდეა, რომლის განხორციელებაც ნამდვილად ეღირება.

**მორიელი 23.10-21.11**
**18 დეკემბერი:** დღეს საკუთარი შეცდომის აღიარება ძალიან გაგიჭირდებათ. ასე რომ, შეეცადეთ, არაფერი დააშავოთ და თუ მაინც შეცდით, აღიარება სახვალიოდ გადადეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**18 დეკემბერი:** კარგი იქნება, თუ დღეს განმარტოვდებით და ვითარებას გააანალიზებთ. შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გამოიტანოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**18 დეკემბერი:** შეეცადეთ, დღეს მარტომ არაფერი გააკეთოთ. რატომ უნდა დაიღალოთ, როცა საქმეში სხვა ადამიანების ჩართვაც შეგიძლებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**18 დეკემბერი:** ყველა ცვლილება უკეთესობისკენ იქნება. მთავარია, გეგმები სწორად შეადგინოთ და მათ არ გადაუხვიოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**18 დეკემბერი:** დღეს რაღაც საკმაოდ უხვად იქნება. კონკრეტულად რა, ჯერ უცნობია. იმედია, ეს სიუხვე უსიამოვნებებს არ უკავშირდება.

## ამერიკელი სანიტარი უგანდაში მეფედ აკურთხეს





და მერე რა, რომ ამერიკელი სანიტრის სამფლობელოს ძალიან უჩვეულო სახელი — რვენზურურუს სამეფო ეწოდება, მთავარი ის არის, ის მონარქად აკურთხეს და ამიერიდან, მისი სურვილების აღსრულებაზე უამრავი ადამიანი იზრუნებს.

როგორც ირკვევა, ამერიკის ერთ-ერთ კლინიკაში სანიტრად მომუშავე ჩარლზ უესლი მუმბერე ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა, სადაც ის მეფედ უგანდის პრეზიდენტმა, იოვერი მუსევინმა აკურთხა.

მეფედ კურთხევის ცერემონიას 60 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა, რომლებიც ქვეყანაში მონარქიის აღდგენით ხარობდნენ.

უგანდაში მონარქია ჯერ კიდევ 1967 წელს მაშინდელი პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმებულა, ახლა კი სამეფო კარის აღდგენაზე ამჟამინდელ პრეზიდენტს უზრუნია, თუმცა იმ პირობით, რომ მეფე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა.

ჩარლზ უესლი მუმბერე, რომელიც უგანდის სამეფო ოჯახის მემკვიდრე გახლდათ, გასაგები მიზეზების გამო, წლების განმავლობაში ამერიკაში ცხოვრობდა და იქ უბრალო სანიტრად მუშაობდა.

აღსანიშნავია, რომ მუმბერეს თანამშრომლებს აზრადაც კი არასოდეს მოსვლიათ, რომ მათ გვერდზე ნამდვილი მონარქი მუშაობდა, თუმცა ახლა უკვე ყველამ ყველაფერი იცის და ალბათ, ბევრი ქალი ნანობს კიდეც, რატომ ცნობილი ფილმის სცენარის მიხედვით არ განვითარდა ჩემი ცხოვრებაო...

**hotinet.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მასწავლებელი მოსწავლეებს:

— ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის თემაა — ადამიანის გამრავლების პროცესი...

ბავშვები ერთხმად:

— ვააა!.. ჰაჰაჰა!.. ავოეეე!..

მასწავლებელი:

— როგორ არ გრცხვენიათ?! შეხედეთ, როგორ მშვიდად არიან კოტე და სოფო! კოტე, თქვენ უკვე გაიარეთ გამრავლების პროცესი?

— პროცესი გავიარეთ, კი... ხვალ შედეგების გასაგებად მივდივართ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
» 211359457
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძბაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: ბაღდგეთელაძის, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.20